აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№11 (25.189) 28 მარტი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, მთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

მწვანე კონცხის მიმართულებით წყალმომარაგების ახალი ქსელის მოწყობა დაიწყო

ბათუმის მერიის ინფორმაციით, მწვანე კონცხის მიმართულებით, სადაც ამ დრომდე არ არსებობდა ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემა, ახალი ქსელის მოწყობა დაიწყო

სამუშაოების დასრულების შემდგომ, 24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით 500-ამდე ოჯახი ისარგებლებს.

მიმდინარე სამუშაოებს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რამაზ ჯინჭარაძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები გაეცნენ.

როგორც ბათუმის მერიის საინფორმაციო სამსახური გვატყობინებს, პროექტი ითვალისწინებს 1000 კბმ რეზერვუარის, საწნეო ხაზის, სატუმბი სადგურისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობას.

პროექტის ღირებულება 15 მილიონამდე ლარს შეადგენს და 2026 წლის აპრილის ბოლომდე დასრულდება.

ბათუმის საბალეტო სკოლის მოსწავლეები საერთაშორისო კონკურსზე იასპარეზებენ

29-30 მარტს ბათუმის საბალეტო სკოლის მოსწავლეები იტალიის საერთაშორისო საბალეტო კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის 11 მოსწავლე დომენიკო მოდუნიოს სახელობის საერთაშორისო საბალეტო კონკურსში იასპარეზებს.

პაიზიელოსა და აპოლოს თეატრებში გამართულ კონკურსში სულ 14 ქვეყანა მონაწილეობს: უკრაინა, მექსიკა, იტალია, უნგრეთი, რუმინეთი, სერბეთი, საბერძნეთი, ეგვიპტე, ლატვია, ლიეტუვა, მაკედონია, პოლონეთი, ჩინეთი და საქართველო, რომელსაც ბათუმის საბალეტო სკოლა წარმოადგენს.

„ძალიან საპასუხისმგებლო კონკურსზე მიემგზავრებით, საიდანაც, გვჯერა, გამარჯვებულები დაბრუნდებით. აჭარის კულტურის სამინისტრო იქნება თქვენ გვერდით“, - მიმართა აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე ირმა აბულაძემ მოსწავლეებს, რომელთა წინასაგასტროლო სასცენო ჩვენებას დაესწრო.

ამერიკული «ფარა» - ქართულ რეალობაში 2

ილია ვერძაძე: ნარკოპოლიტიკის გამკაცრება აუცილებელი იყო 3

დემოკრატიული მმართველობის საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად 5

დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტსა და რეფერენდუმს ეხმიანებიან 6

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ „ᲤᲐᲠᲐ“ – ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ 595 85 80 06

ერთხელ უკვე ინიცირებული და უკანგაწვეული კანონპროექტი, დაახლოებით, ერთი თვის წინ განსახილველად დღის წესრიგში კვლავ დაბრუნდა. 18 მარტს პარლამენტმა „ფარას“ ანალოგ „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტს“ მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა, რომელიც კანონად, სულ მცირე, აპრილში იქცევა, შემდეგ კი ავტომატურად გაუქმდება კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“

აშშ-ში 87 წლის წინ მიღებული კანონი რეგისტრაციას და ფინანსურ გამჭვირვალობას ავალდებულებს იმ ლობისტურ კომპანიებს თუ ფიზიკურ პირებს, რომლებიც უცხო ქვეყნების მთავრობების გავლენებით და ინტერესებით მოქმედებენ. „ქართული ოცნების“ წევრების განცხადებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი კანონის ანალოგის ქართულ რეალობაში დანერგვა გააძლიერებს ქვეყნის სუვერენიტეტს და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს დაამკვიდრებს.

პრემიერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ „ფარას“ ზუსტი ანალოგი კანონის მიღებას საქართველოში ალტერნატივა არ აქვს.

„აშშ-ის მოქმედმა ხელისუფლებამ აღიარა, რომ კონკრეტული მექანიზმები, მათ შორის, USAID-ი, NED-ი და სხვა, გამოიყენებოდა არაერთ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში ვითარების ასარევად. ასეთ პირობებში, მით უმეტეს, ალტერნატივა არ აქვს NGO-ების გამჭვირვალობას, არ შეიძლება NGO-ები და მათი დაფინანსება იყოს გამოყენებული როგორც ქვეყანაში პოლიტიკური ინტერვენციის მექანიზმი. შესაბამისად, ბუნებრივია, ამ კანონის მიღებას არავითარი ალტერნატივა არ აქვს“, - აღნიშნა პრემიერმა.

რაც შეეხება ოპოზიციას, მიიჩნევენ, რომ აღნიშნული კანონი კვლავ რუსულია და ქართულ რეალობაში დემოკრატიას აზიანებს.

„ქართული ოცნება“ „რუსულ კანონზე“ ამბობდა, ამერიკულიაო, სანამ ამერიკის ელჩმა არ უთხრა, რომ ეს არის იდიოტური პროპაგანდა და ამის შემდეგ გაქრა მათი მხრიდან ამერიკულ კანონთან შედარების მცდელობებიც კი. „რუსულმა კანონმა“ ვერ იმუშავა და არ იმუშავებს არც ერთი ის შემზღუდავი კანონი, რომელიც ეცდება ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტების განადგურებას“, - აღნიშნავს მედიასთან საუბარში პარტია „ლელოს“ წევრი ირაკლი კუპრაძე.

მნიშვნელოვანი რამ ხდება არასამთავრობო ორგანიზაციებში. მიმდინარე კვირაში 102-მა არასამთავრობო და მედიაორგანიზაციამ „ფარას“ კანონთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელა.

მათი განცხადებით, აშშ-ში მოქმედი „ფარა“ არასამთავრობოების და მედიაორგანიზაციების საქმიანობას არ უპირისპირდება, საქართველოში კი ეს პირიქით ხდება

„ივანიშვილის არალეგიტიმური პარლამენტის თითოეული აქტი, რომელიც ხალხის თავისუფლებას ზღუდავს, ანტიქართული და ანტიკონსტიტუციურია. ვერაღსრულებული რუსული კანონის გამკაცრება, რათა მოქალაქეები სისხლისსამართლებრივი დევნით დააშინონ, ასევე ანტიქართული და ანტიკონსტიტუციურია.

ჩვენ ჯერ კიდევ 2023 წელს ვაცხადებდით, რომ რუსული კანონის მიღების შემდეგ, იგი პერიოდულად გამკაცრდებოდა, შეეხებოდა ყველა მოქალაქეს და მნიშვნელოვნად შეზღუდავდა მათ უფლებებს ისევე, როგორც ეს რუსეთსა და სხვა ავტორიტარულ რეჟიმებში მოხდა. ამ კანონის ინიცირება და მიღება ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილებას და საქართველოს კონსტიტუციის ღალატს ნიშნავდა, რაც ივანიშვილის პრემიერ-მინისტრმა 2024 წლის 28 ნოემბრის განცხადებითაც დაადასტურა. ივანიშვილის ხელისუფლება ირწმუნება, რომ აშშ-ში 1938 წელს მიღებული „ფარას“ პირდაპირ თარგმანს აინიცირებს. აშშ-ში მოქმედი „ფარა“ დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თავისუფალი მედიის საქმიანობას არ უპირისპირდება, ივანიშვილის არალეგიტიმურ ხელისუფლებას კი სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ მიღებული რუსული კანონის გადაფუთვა სურს.

ივანიშვილის რეჟიმი ცდილობს თავისუფლების ნებისმიერი გამოვლინების ჩახშობას. 50-ზე მეტი ადამიანის პოლიტიკური ნიშნით დაკავების, დარბევების, რეპრესიების შემდეგ, მათ სურთ, დაუცველი დატოვონ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები და ქალები, შეუწყდეთ დაფინანსება მეცნიერებს, ახალგაზრდებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, არ ისმოდეს რეგიონების, მუშების, დევნილი და საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლი ადამიანების ხმა.

უკვე მესამე წელია, ქართული სამოქალაქო საზოგადოება ივანიშვილს მკაფიოდ ვეუბნებით, რომ რუსული კანონებით ცხოვრებას და საქმიანობას არ ვაპირებთ. რუსული კანონი, მისი არც ერთი ფორმით, არასოდეს იქნება საქართველოს არჩევანი.

შესაბამისად, ხელმომწერი ქართული დამოუკიდებელი არასამთავრობო და მედიაორგანიზაციები ვრჩებით საქართველოს კონსტიტუციისა და საკუთარი მისიის ერთგული - ვემსახურებით ქართველ ხალხს“, - აღნიშნულია განცხადებაში.

არასამთავრობოების განცხადებას ეხმაურება უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე.

„ახალმა დავალებამაც არ დააყოვნა და გამოეფინა აგენტურა - FARA-ც რუსული კანონიაო.. ახლა აღარ მოგწონთ ამერიკული სამართალი?“ - წერს მდინარაძე სოციალურ ქსელში.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჩვენ გავესაუბრეთ უფლებადამცველ **ლალი აფციაურს**, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებას აფასებს.

- ნებისმიერი ორგანიზაცია და ფონდი, ქართული თუ უცხოური, იქმნება გარკვეული მიზნების, საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც აისახება წესდებაში და ამის

შემდეგ რეგისტრირდებიან, ანუ განცხადებაზე ხელმომწერი 102 ორგანიზაცია უკვე რეგისტრირებულია საქართველოში და სახელმწიფოს მათ საქმიანობაში კანონსაწინააღმდეგო არაფერი დაუნახავს. ორგანიზაციები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამენ „ფარას“ მიღებასთან დაკავშირებით, უნდა ასაბუთებდნენ, კონკრეტულად, და არა ზოგადად, საუბრობდნენ „ფარას“ რომელი მუხლით იზღუდება მათი საქმიანობა და უფლებები.

მოქალაქეების უფლებების მნიშვნელოვნად შეზღუდვაზე საუბრობენ და, რა თქმა უნდა, აქაც ზოგადად. ამ ორგანიზაციებს დიდ სწავლა-განათლებაზე აქვთ პრეტენზიები და კი უნდა იცოდნენ, რომ ასეთი განცხადებები არ არის საკმარისი იმის დასასაბუთებლად, „ფარას“ რომელი მუხლით იზღუდება ადამიანის უფლებები და ირღვევა კონსტიტუცია. ასეთ საკითხებს მუხლობრივად განხილვა სჭირდება და არა შაბლონური განცხადებები. რაც შეეხება დაფინანსების შეწყვეტას, მგონი, არსად წერია, რომ დაფინანსება შეუწყდებათ. ზოგადად, ნებისმიერი დაფინანსება მიზნობრივია ამა თუ იმ საქმიანობის განსახორციელებლად და დაფინანსების და მისი ხარჯვის გამჭვირვალობა რატომ ხდება სადავო, აბსოლუტურად გაუგებარია. რატომ უნდა გეშინოდეს გამჭვირვალობის არასამთავრობო ორგანიზაციას, თუკი კეთილსინდისიერი ხარ? შესაბამისად, 102 ორგანიზაციის ხელმოწერა რაოდენობას ნიშნავს და არა ხარისხს, რაოდენობით კი ვერავის შეაშინებენ. მედია რომ ობიექტური უნდა იყოს და ორივე მხარეს ობიექტურად აშუქებდეს, არ ცრუობდეს, სპექტაკლებს არ დგამდეს, ეს მგონი, ჩემზე უკეთესად თქვენ იცით, - აცხადებს ლალი აფციაური.

„აჭარასთან“ ფარას ანალოგ კანონზე ისაუბრა იურისტმა **საბა ბრაჭველმაც**.

- ორი წელია, ვამბობ და კიდევ გავიმეორებ - კანონი, მათ შორის, „ფარა“ არის არა უბრალოდ სიტყვების კომბინაცია, არამედ

ის შინაარსი, რომელსაც მას აღმასრულებელი და განმმარტებლები ანიჭებენ. ჩვენთან ამერიკული კანონიდან მოაქვთ სიტყვები, მაგრამ ცვლიან განმარტებებს, შინაარსს, პრაქტიკას, რითიც იუსტიციის დეპარტამენტი და სასამართლოები ხელმძღვანელობენ. ამერიკული „ფარას“ რეესტრში არ არიან დამოუკიდებელი, საკუთარი საწესდებო მიზნებითა და საკუთარ ნებაზე მოქმედი არასამთავრობო და მედიაორგანიზაციები. იქ ისინი ხვდებიან, უცხო სახელმწიფო ვისაც აკონტროლებს. ამიტომ შეხვდებით „ფარას“ რეესტრში ისეთ მედიებს, როგორებიცაა „სპუტნიკი“ და „რაშა თუდეი“ და ვერ შეხვდებით „ბი-ბი-სის“, „დოიჩე ველეს“ და სხვებს. „ბიბი-სის“ და „დოიჩე ველესაც“ საკუთარი - ამერიკისთვის „უცხო“ მთავრობები აფინანსებენ, მაგრამ ისინი დამოუკიდებელი მედიები არიან, ამიტომ არავინ სთხოვს მათ დარეგისტრირებას. მაშინ, როცა ამერიკაში რეგისტრაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - ამერიკას“ არავინ სთხოვს, ჩვენთან „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა“ და სხვა არასამთავრობოების რეესტრში შეყვანა კანონის მიზნადაა დასახელებული. ამ კანონის ამერიკულად მონათვლა ვირეშმაკობა - სიტყვების კომპირება და შინაარსის ცვლილებაა. ეს კანონი, მართლა „ფარა“ რომ იყოს, დამოუკიდებელ ორგანიზაციებს არ შეეხებოდა, მაგრამ აპირებენ, რომ შეახონ, რადგან სურთ, კი არა, ცხვრის ტყავს შეფარებული მგელი და ახალი „რუსული კანონია“. ამ კანონს იღებენ, რადგან სურთ, რომ საკუთარ მომხრეებს „რუსული კანონი“ დაავიწყონ, სისხლის შიშით სამოქალაქო სექტორმა თვითონ გაიუქმოს თავი და კანონის დამორჩილებით ლეგიტიმაცია შეიძინონ.

„ნჯეოების“ მიმართულებით საერთაშორისო გამჭვირვალობის მაგალითია ყველაზე კარგი, მედიის მიმართულებით - „ბი-ბი-სი“. ფორმალურად ორივე სრულად ჯდება ამ კანონის კრიტერიუმებში, მაგრამ არავინ სთხოვს დარეგისტრირებას, რადგან ორგანიზაციულად დამოუკიდებლები არიან და თავად წყვეტენ, როგორ იმუშაონ. ეს ელემენტი არ გადმოაქვთ ჩვენთან, - გვითხრა საბა ბრაჭველმა.

უფლებადამცველ **ნანა კაკაბაძის** თქმით კი არასამთავრობო ორგანიზაციები გარედან შემოსულ თანხებს ახმარენ სხვა ქვეყნის ინტერესებს.

- საქართველოს პარლამენტში განიხილება, ამერიკული კანონის - „ფარას“ ანალოგი. „ფარა“ აშშ-ში მიიღეს იმ მიზნით, რომ გარე-

დან დაფინანსების შემთხვევაში, მოხდეს დაფინანსებული ორგანიზაციების, ლობისტური ჯგუფებისა თუ ინდივიდების გაკონტროლება, რომ მათ ეს თანხები არ მოახმარონ სხვა ქვეყნის ინტერესებს ამერიკის ინტერესების საზიანოდ. ამერიკაში არც არასამთავრობოებს და არც მედიაორგანიზაციებს არ აქვთ კონფლიქტი ამ კანონთან. ჩნდება კითხვა, საქართველოში რატომ შეიძლება არასამთავრობოებსა და მედიაორგანიზაციებს ექმნებოდეთ პრობლემა პარლამენტის მიერ „ფარას“ მიღების შემთხვევაში? ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ორგანიზაციები გარედან შემოსულ თანხებს ახმარენ სხვა ქვეყნის ინტერესებს საქართველოს ინტერესების საზიანოდ, - განაცხადა გაზეთ „აჭარასთან“ საუბარში ნანა კაკაბაძემ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ბათუმის მერიაში, ტრადიციულად, მოქალაქეებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე, ძირითადად, ინფრასტრუქტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. გაიცა რეკომენდაციები არქიტექტურისა და სამშენებლო ნებართვებთან დაკავშირებით. ყველა იმ საკითხზე, რომელიც მოქალაქეების მიერ დაისვა, უახლოეს პერიოდში მიიღება კონკრეტული გადაწყვეტილებები და მოხდება მათი გათვალისწინება მომავალ საბიუჯეტო პროცესში. „პირადად შევხვდი ჩვენს თანაქალაქელებს. მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან, ავარიული სახლების პროგრამასთან და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებთან დაკავშირებული თემები. შეხვედრაზე დასმულ საკითხებზე მუნიციპალური სამსახურები უახლოეს პერიოდში დაუბრუნდებიან მოქალაქეებს კონკრეტული პასუხებითა და გადაწყვეტილებებით“, - აღნიშნა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

* * *

ფრიდონ ხალვაშის გამზირზე, 10 000 კვმ-ზე, რეკრეაციული სივრცის მშენებლობა მიმდინარეობს. ბათუმის მერიის ინფორმაციით, აქ მცხოვრები 1500-ზე მეტი ოჯახისთვის შეიქმნება ახალი დასასვენებელი გარემო. „პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია არსებული მინისპორტული მოედნის რეაბილიტაცია და ახალი სპორტული მოედნის მშენებლობა. სკვერში მოეწყობა საბავშვო და სპორტული ზონები, რეაბილიტირდება არსებული განათების სისტემა და დამონტაჟდება დეკორატიული სანათები, ასევე, განხორციელდება გამწვანების სამუშაოები. პროექტი მიმდინარე წლის მაისის ბოლომდე დასრულდება, რისთვისაც 2 მილიონ 800 ათას ლარამდე დაიხარჯება. ფრიდონ ხალვაშის გამზირის №320-ის მიმდებარედ უკვე დასრულდა სკვერის მოწყობა, სადაც განთავსდა ატრაქციონები, ტრენაჟორები, ფანჩატურები და საბაღე ინვენტარი. დაიგო დეკორატიული ფილები, მწვანე კორდი და დამონტაჟდა გარეგანათების სიტემა“, - ნათქვამია ბათუმის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

აკვაკულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ თევზის დაავადებების დიაგნოსტიკისთვის საჭირო ყველა კვლევა დაინერგება. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილთან ერთად, სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში“ იმყოფებოდა. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, საუბარი შეეხო თევზის დაავადებების დიაგნოსტიკის მიმართულებით ლაბორატორიის შესაძლებლობებს, გამოწვევებს და სამომავლო გეგმებს, ასევე, საქართველოს მასშტაბით, თევზის დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შესაძლებლობების გაძლიერებას აკვაკულტურის დარგის განვითარებისთვის. ლაბორატორიაში გამართულ შეხვედრას მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დირექტორი ირაკლი გულედანი, ბათუმის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე,

იხ. მე-4 გვ.

ილია ვერძაძე: ნარკოპოლიტიკის გამკაცრება აუცილებელი იყო

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

ნარკოტიკების თემა კვლავ გააქტიურდა ხელისუფლების მხრიდან საკანონმდებლო ცვლილებების კვალდაკვალ. ამ საკითხზე მსჯელობისას, ტრადიციულად, ერთმანეთს დაუპირისპირდა პოზიცია-ოპოზიცია, თუმცა ორივე მხარე ერთსულოვანია, როდესაც ამ საკითხის მოგვარებასა ან პრობლემის გაღრმავებაზე კეთდება აქცენტი

*რას ითვალისწინებს კანონმდებლობაში ცვლილებები? - ამაზე აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე **ილია ვერძაძე** გვესაუბრება.*

- ბატონო ილია, თქვენი კომენტარი ნარკოპოლიტიკის გამკაცრებაზე...

- ეს ის საკითხია, რომელიც აუცილებლად საჯაროდ უნდა განვიხილოთ და მადლობას გიხდით, რომ ჩემი პოზიციის დაფიქსირების საშუალება მომეცით. ნარკომანია ჩვენი საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მტკივნეული თემაა. ეს პრობლემა ბევრ ოჯახს შეეხო და ტრაგიკულად დაასრულა არაერთი ახალგაზრდის მომავალი. ნარკოპოლიტიკის გამკაცრება აუცილებელი იყო. ეს ქმედება მომავალი თაობის ჩამოსაყალიბებლადაა გათვლილი, ანუ ქვეყნის, მოსახლეობის უახლოეს მომავალს და კეთილდღეობას ეხება. სამწუხაროა, რომ დამნაშავეთა სამყარო მუდმივად ცდილობს ახალი მეთოდების, საშუალებების გამოგონებით, თავისი ბინძური ზრახვების განხორციელებას, პროცესში კი აქტიურად იყენებს როგორც აკრძალულ ნივთიერებებს (პირადი სივრცის დარღვევით და ადამიანის უფლებების იგნორირებით), ასევე ტექნიკის, IT საშუალებებს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აბსოლუტურად დროულად მიმაჩნია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მთავრობის ინიციატივა ამ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

- როდის ამოქმედდება კანონი და რა ძირითად სასჯელს ითვალისწინებს?

- 2025 წლის პირველი ივნისიდან - იმ შემთხვევაში, თუ პირს დაუდასტურდება ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი, ან თავს აარიდებს ნარკოლოგიურ შემოწმებას, მას სამი წლით ჩამოერთმევა ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; ხუთი წლით ჩამოერთმევა საჯარო სამსახურში, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, ასევე, იარაღთან დაკავშირებული უფლებები... ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების გაყიდვისთვის სასჯელი მაქსიმალურად მკაცრდება, რაც ნიშნავს, რომ ნარკორეალიზატორებისთვის არათუ განსაკუთრებით დიდი ან დიდი ოდენობის, არამედ მცირე ოდენობით ნარკოტიკის გაყიდვისთვისაც სასჯელი 12-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა იქნება.

- როგორ ფიქრობთ, რა გამოძახილი მოჰყვება საზოგადოებაში კანონის ასეთ გამკაცრებას?

> *ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების გაყიდვისთვის სასჯელი მაქსიმალურად მკაცრდება, რაც ნიშნავს, რომ ნარკორეალიზატორებისთვის არათუ განსაკუთრებით დიდი ან დიდი ოდენობის, არამედ მცირე ოდენობით ნარკოტიკის გაყიდვისთვისაც სასჯელი 12-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა იქნება*

- ჩვენ ვასრულებთ მოსახლეობის დაკვეთას. პარტიის აღმასრულებელ მდივან მამუკა მდინარაძის განცხადების საფუძველზე, მინდა მივმართო კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომ გაიზიარონ ეს მიდგომები და სახელმწიფოს დაუდგნენ გვერდით ანტინარკოტიკული კამპანიის წარმოებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში. მომავალი თაობების გადარჩენისთვის, ვაპირებთ ანტინარკოტიკული რეფორმა, ანტინარკოტიკული კამპანია და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ვაქციოთ განსაკუთრებულ ეროვნულ პრიორიტეტად. კანონის გამკაცრება, დღევანდელობის გათვალისწინებით, აბსოლუტურად ადეკვატურია. აქვე ისიც მინდა განვმარტო, რომ ეს მიდგომა რეპრესიებს კი არა, მოქალაქის მხრიდან დაფიქრების და საკუთარი მომავლის გააზრების კომპონენტს შეიცავს. მიმაჩნია, რომ დროა დავფიქრდეთ, საით მიექანება ქვეყანა და გადავკეტოთ ახალგაზრდა თაობის განადგურებისკენ მიმავალი გზები. ეს მთავრობის უდავო პრეროგატივაა.

- რას გულისხმობთ?

- ახალს არაფერს ვამბობ, ყველამ კარგად ვიცით, რომ ნარკოტიკული საშუალებები უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. ნარკოტიკების ვერაგობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მისი ნეგატიური ეფექტი არ არის უეცარი, უფრო მეტიც, სამწუხაროდ, დროის მოკლე მონაკვეთში ტოვებს მომხიბვლელობის მცდარ ეფექტს, რაც იზიდავს ადამიანებს და დამღუპველად მოქმედებს მათ გონებასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე. აქ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რთულია ადამიანისთვის გრძელვადიანი შედეგის გააზრება და შედეგების მოდელირება. რომ შეიძლებოდეს ამ შედეგის ობიექტურად გააზრება (ვგულისხმობ გრძელვადიან პერსპექტივას), თუ რა დამანგრეველი ზემოქმედება შეუძლია ნარკოტიკებს ორგანიზმზე, ოჯახზე, კარიერაზე, ნარკომანთა დიდი უმრავლესობა თავიდანვე უარს იტყოდა ამ მავნე ჩვევაზე, თუნდაც უეცარი და ხანმოკლე ხიბლის მიუხედავად. სწორედ ეს კომპონენტი დევს პრემიერის ახალ ინიციატივაში, რომელიც, ვიმეორებ, კარგად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. ამ პრობლემის გააზრებას გულისხმობს ეს ცვლილება და ამიტომ მიმაჩნია, რომ ახალი კანონი კარგად იმუშავებს და შესაბამისი შედეგიც გვექნება.

- წინააღმდეგობებს იწვევს კანონპროექტში აღნიშნული სხვადასხვა შემოწმების აუცილებლობა.

- ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ცნობილი ეს ასპექტები, თუმცა, როგორც მამუკა მდინარაძე აცხადებს, პოლიციელები ძალით არ გადაიყვანენ პირს შესამოწმებლად, „პირს შესთავაზებენ, რომ პოლიციელი გადაიყვანს შესამოწმებლად ან თავად ექნება უფლება, 8 საათის განმავლობაში მივიდეს ნარკოლოგიურ დაწესებულებაში, შემდეგ კი ცნობა წარუდგინოს ინიციატორ ორგანოს. შემოწმებაზე უარის თქმა გამოიწვევს ადმინისტრაციულ სახდელს“... როგორც ხედავთ, აქ არაფერია გასაპროტესტებელი. ცხადია, რომ კანონის ცვლილებამ უნდა გამოიწვიოს რიგი სადამსჯელო ბერკეტების ამოქმედება, სხვა მხრივ ვერცერთი კანონი ვერ იმუშავებს. როგორც უკვე აღვნიშნე, მდინარაძის განმარტებით, გამკაცრდება ნარკოტიკების რეალიზატორების მიმართ სასჯელიც: „თუკი პირს დაუდასტურდება, რომ ყიდის ნარკოტიკს, სასჯელი კიდევ უფრო მკაცრდება და გაუთანაბრდება მკვლელობას, რადგან თუ ერთ ადამიანს კლავ, დროთა განმავლობაში კლავ - ბევრს, როცა ნარკოტიკულ საშუალებას ყიდი, ამიტომ ჩვენ ამას ვიხილავთ როგორც მკვლელობას, ოღონდ მასობრივს და ამის მიმართ სახელმწიფო იქნება შეუწყნარებელი“.

- როგორც ცნობილია, მარიხუანას მოხმარებისთვისაც მკაცრდება კანონი...

- რასაკვირველია, მკაცრდება და ამ სიმკაცრის მომხრე ვარ. მიმაჩნია, რომ მარიხუანა მძიმე ნარკოტიკია. მისმა კულტივირებამ ბევრი პრობლემა შექმნა, განსაკუთრებით, რეგიონებში. ასე რომ, გამკაცრება უნდა მოხდეს რეალობის გათვალისწინებით და მსოფლიო პრაქტიკის შესაბამისად.

- არის შემთხვევები, როცა ჯგუფურად მოიხმარენ მარიხუანას. ასეთ დროს გამსაღებელსა და მომხმარებელს შორის ზღვრის გავლება რამდენად შესაძლებელია?

- ძალზე რთულია მოხმარებასა და რეალიზაციას შორის ზღვრის გავლება. ცხადია, კანონპროექტის საპარლამენტო განხილვაში სპეციალისტებსაც ჩართავენ.

- კვლავ პრობლემაა, რომ სადარბაზოებთან, სკვერებსა თუ სხვა ადგილას ისევ დებენ კურიერები ნარკოტიკებს, რომლებსაც მომხმარებლები ინტერნეტით იწერენ. მათ უკან დგანან ნარკორეალიზატორები და ხშირად ძნელდება კვალზე გასვლა...

- რასაკვირველია, ვემხრობი იმ პირების მკაცრად დასჯას, ვინც დებს ნარკოტიკს, თან ისეთს, რომელიც ხშირად უმძიმეს შედეგებს იწვევს.

- დარგის სპეციალისტებს ხშირად უთქვამთ, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას პროგრამები, რათა ნარკომომხმარებლებს მკურნალობის საშუალება ჰქონდეთ, რადგან ეს ძვირად ღირებული პროცესია...

- დარწმუნებული ვარ, ყველა ეს საკითხი თავის დროზე მოგვარდება, რადგან ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა ყოველთვის იყო და იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე.

- რამდენად რთულია ნარკოდამოკიდებულებისგან თავის დაღწევა?

- დამოკიდებულების მკურნალობა კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესია, თანაც, ძვირად ღირებული და რამდენიმეეტაპიანი, რომელიც გულისხმობს მკურნალობას, დეტოქსიკაციას, რეაბილიტაციას, სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. დროთა განმავლობაში ეს ქსელი ჩამოყალიბდება, გაძლიერდება და ამოქმედდება. რაც შეეხება გამსაღებლების და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოს მოქმედებას, ამაზე არავინ შემომედავოს - ეს ბრძოლა უნდა იყოს დაუნდობელი.

ეროვნული ბანკი, „ევრო 2024“-ზე ეროვნული ნაკრების ასპარეზობის აღსანიშნავად, საკოლექციო მონეტების რეალიზაციას იწყებს

„საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საკოლექციო დანიშნულების ხუთი ლარის ნომინალის ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ფეხბურთში ეროვნული ნაკრების ისტორიული გამარჯვებისა და უეფა-ს 2024 წლის ევროპის ჩემპიონატზე თამაშის აღსანიშნავად გამოუშვა“, - ნათქვამია ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში

მათივე ცნობით, მონეტების დიზაინის ესკიზები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობით მომზადდა (დიზაინერი - ბაჩო ლაგვილავა), ხოლო მონეტების მწარმოებელი ლიეტუვის ზარაფხანაა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ვერცხლის მონეტის სარეალიზაციო ფასი - 130, ხოლო ოქროს მონეტისა - 2 200 ლარი იქნება.

„ვერცხლისა და ოქროს მონეტების გაყიდვა შემდეგი პირობებით მოხდება: ვერცხლის მონეტის შეძენა შესაძლებელი იქნება 2025 წლის 26 მარტის 10:00 საათიდან: ელექტრონული პლატფორმის, tkt.ge-ს მეშვეობით მხოლოდ ორი დღის განმავლობაში (26 და 27 მარტს), საკასო ცენტრისა და ყვარლის ფულის მუზეუმის სალაროებში.

ოქროს მონეტის შეძენა შესაძლებელი იქნება 2025 წლის 28 მარტის 10:00 საათიდან: ელექტრონული პლატფორმის, tkt.ge-ს მეშვეობით მხოლოდ ერთი დღით, იმავე დღის ბოლომდე, საკასო ცენტრისა და ყვარლის ფულის მუზეუმის სალაროებში.

იმისთვის, რომ მონეტების შეძენა შეძლოს მაქსიმალურად ბევრმა დაინტერესებულმა პირმა, თითოეული შემადგენლობის მონეტისთვის დაწესდება შეზღუდვა, ერთ მომხმარებელს შეეძლება შეიძინოს არა უმეტეს ერთი ვერცხლისა და ერთი ოქროს მონეტა. აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება ყველა ოფიციალურ სარეალიზაციო არხზე ერთობლივად, რაც გულისხმობს, რომ ეროვნული ბანკი თითო მომხმარებელზე გასცემს მის მიერ ამ პერიოდში შეძენილ მხოლოდ ერთ ცალ მონეტას. სალაროებში მონეტის შესაძენად მომხმარებელმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი“, - აღნიშნულია ეროვნული ბანკის ინფორმაციაში.

საქართველოს ეკონომიკა წელს დაახლოებით 6 პროცენტით გაიზრდება

საკრედიტო სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი უცვლელად, Ba2 დონეზე დატოვა, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური ვითარების ასახვაა, - ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკი ავრცელებს

ეროვნული ბანკის ცნობით, ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ საბანკო სექტორი მდგრადია, რაც აისახება მის მომგებიანობასა და კაპიტალისა და ლიკვიდურობის საიმედო მაჩვენებლებში, ეს კი ხელს უწყობს შოკების შემთხვევაში ბუფერების არსებობას. Moody's-ის მოლოდინით, საქართველო კვლავ შეინარჩუნებს ძლიერ ეკონომიკურ ზრდას. სააგენტოს შეფასებით, 2025 წელს საქართველოს ეკონომიკა დაახლოებით 6%-ით გაიზრდება. ამასთან, Moody's-მა, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, პერსპექტივა სტაბილურიდან ნეგატიურზე შეცვალა, რაც, ძირითადად, გეოპოლიტიკური რისკების ზრდისა და მიმდინარე პოლიტიკური პროცესებითაა გამოწვეული.

თემურ ბაჯელიძე: თუ წინა ხელისუფლებას დამსახურებულად აკრიტიკებდნენ დრაკონული ნარკოპოლიტიკის გამო, ახლანდელი ცვლილებები ბევრად მძიმე იქნება

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

*გაზეთ „აჭარის“ სტუმარია **თემურ ბაჯელიძე** (პარტია „ფედერალისტები“), რომელიც საუბრობს მთავრობის მიერ ნარკოპოლიტიკის გამკაცრებაზე, კანონპროექტის სუსტ მხარეებზე, ცალკეული საკითხის უფრო ღრმად შესწავლისა და განსხვავებული მიდგომების საჭიროებაზე.*

- ბატონო თემურ, აუცილებელი იყო თუ არა ნარკოპოლიტიკის გამკაცრება?

- ნარკომანია ნამდვილად პრობლემაა ამ ქვეყანაში, რომელსაც კონკრეტული მიდგომა სჭირდება. აქვე შეიძლება დავაზუსტოთ, რომ ჩვენს სახელმწიფოს არასდროს ჰქონია მწყობრი, ეფექტური, შედეგზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკა. ერთადერთი, რაც ამ კუთხით განხორციელდა, იყო მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაცია...

- თუ ლეგალიზაცია?

- არა, დეკრიმინალიზაცია. აქ განსხვავებას ხაზს ვუსვამ, რადგან ამ ტერმინს ხშირად იყენებს პროპაგანდისტული მანქანა, ხალხის შეცდომაში შეყვანის მიზნით.

- თქვენ თვლით, რომ კანონში ცვლილება კიდევ უფრო დაამძიმებს ვითარებას?

- დიახ, ერთ-ერთი მთავარი საფრთხე იქნება ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის ზრდა და ბევრად უფრო დამაზიანებელი ნარკოტიკის შემოსვლა შავ ბაზარზე, სინთეზური თუ დიზაინერული ნარკოტიკის სახით.

- მიგაჩნიათ, რომ კანონი არ უნდა შეეცვალათ და ისევ ლოიალური უნდა დარჩენილიყო?

- მე ეგ არ მითქვამს, გამსაღებლების მიმართ კანონი მკაცრი უნდა იყოს და მისი აღსრულება - ეფექტური. ამას სჭირდება სახელმწიფოს ნება, რაც არ აღიქმება. რეალიზატორები უნდა დაისაჯონ. რაც შეეხება ნარკოტიკების მოხმარებას, მას უნდა მივუდგეთ როგორც სამედიცინო და სოციალურ პრობლემას - მომხმარებლების მიმართ კანონი უფრო ჰუმანური უნდა იყოს. სისხლის სამართლის დამნაშავის სტატუსის მინიჭება კიდევ უფრო დაამძიმებს მათ მდგომარეობას და ხელს შეუშლის რეაბილიტაციაში, საბოლოო ჯამში კი შეგვრჩება დაკარგული მოქალაქე. არადა, სწორი პოლიტიკის გატარებით, შესაძლებელია ამ ადამიანების გადარჩენა და რესოციალიზაცია.

- თუ შეიძლება დავაკონკრეტოთ, რა მეთოდებს გულისხმობთ?

- ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია ნარკოტიკების მომხმარებლებისადმი, როგორც პაციენტებისადმი მიდგომა. სახელმწიფო პოლიტიკაც სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული, ანუ, დასჯის ნაცვლად - მკურნალობა და მხარდაჭერა. მსგავსი მეთოდებით სარგებლობს ცივილიზებული მსოფლიოს

დიდი ნაწილი და მინდა აღვნიშნო, რომ კარგი შედეგები აქვთ. აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ კანონპროექტში ცვლილებებს შორის ნახსენები იყო იძულებითი მკურნალობა. დარწმუნებული ვარ, ესეც უშედეგო იქნება.

- უფრო დეტალურად გაგვაცანით თქვენი მოსაზრება ამის თაობაზე...

- დავიწყოთ პირველი პრობლემით. ზემოთ ნახსენები დაბრკოლებები წარმოიქმნა, რადგან არ გაგვაჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ხშირად მომისმენია ნარკოლოგებისგან, რომ ნარკოსარეაბილიტაციო კლინიკები და ფსიქიატრიულების ცნება არეულია. ასევე, მაღალი ფასების გამო, ნარკომომხმარებლები მიმართავენ არა სარეაბილიტაციო კლინიკებს, არამედ ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, რაც მხოლოდ დეტოქსიკაციაში ეხმარება მათ. არადა, ყველამ იცის, რომ ნარკოტიკებზე მხოლოდ ფიზიკურად თავის დანებება ყოველთვის დროებითია, თუ არ ახლავს ფსოქოლოგებისა და ნარკოლოგების თერაპია.

- არსებობს ქვეყნები, სადაც იყენებენ იძულებით მკურნალობას, თუნდაც იგივე განვითარებული სახელმწიფოები...

- დიახ და სწორედ მათმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ იძულებითი მკურნალობა არაფრის მომტანია. სპეციალისტთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ეს მეთოდი პაციენტებში უკუშედეგს იწვევს. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს კანონი რეალურად კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტია რეჟიმის ხელში, რათა მოახდინოს ზეწოლა მომხმარებლებზე ელექტორალური თუ სხვა კუთხით.

- მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აქამდე, ლიბერალური მიდგომებით, ქვეყანაში კიდევ უფრო გამწვავდა სიტუაცია ამ კუთხით.

- ასე გამოაცხადა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა, თითქოს ახლა ლიბერალურია და უნდა გამკაცრდეს, მაგრამ ეს მხოლოდ პოპულიზმია და მეტი არაფერი. არასდროს ყოფილა საქართველოში ნარკოპოლიტიკა ლიბერალური და თუ წინა ხელისუფლებას დამსახურებულად აკრიტიკებდნენ დრაკონული ნარკოპოლიტიკის გამო, ახლანდელი ცვლილებები ბევრად მძიმე იქნება. რეალურად ამ პრობლემის დაძლევა შესაძლებელია მოთხოვნის შემცირებით. ხოლო მიზნის მისაღწევად მთავარი გზაა მომხმარებლების შემცირება, გადაყვანა დამნაშავის სტატუსიდან პაციენტის სტატუსში მათი მკურნალობის მხარდაჭერით.

- ნარკოპოლიტიკის გამკაცრების კვალდაკვალ, სისხლის სამართლის კანონმდებლობას რამდენიმე ახალი მუხლი ემატება. თუ გაქვთ ინფორმაცია, რას ითვალისწინებს ისინი?

- როგორც უკვე აღვნიშნე, ეს მუხლები ითვალისწინებს იძულებით მკურნალობას და მომხმარებელთათვის ბევრი სოციალური შეზღუდვის დაწესებას.

- „ანტინარკოტიკული რეფორმის დროს რადიკალური ოპოზიცია საქართველოში ნარკოდანაშაულის მხარეს დადგა“, - განაცხადა მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ. რა კომენტარს გააკეთებდით?

- არ არსებობს პრეცედენტი მსოფლიოში, როცა მძიმე და მკაცრი ნარკოპოლიტიკით მიიღეს დადებითი შედეგი. ეს ძალიან კარგად იციან, მათ შორის, „ქართულ ოცნებაშიც“, მსგავსი განცხადებები ბანალური პოპულიზმია. ცდილობენ, ითამაშონ დამოკიდებული ადამიანების, მათი ოჯახის წევრების ემოციებზე და წარმოჩდნენ როგორც მზრუნველი „მშობლები“. გარწმუნებთ, ვინც ახლა მხარს უჭერს ამ ცვლილებას, ადრე თუ გვიან ემოციები გადაუვლის და მიხვდება, რომ ბევრად მძიმე გახდება მათი მდგომარეობა.

- თვლით თუ არა, რომ ახალი ნარკოტიკული საშუალებები ჩნდება ბაზარზე, რასაც სჭირდება ადეკვატური რეაგირება?

- დიახ, ბევრი ე.წ. დაურეგისტრირებელი ნარკოტიკი გამოჩნდა ბაზარზე ბოლო რამდენიმე წელია. მათი დიდი ნაწილის გამოჩენის მიზეზი, სწორედ, უკვე არსებული მკაცრი ნარკოპოლიტიკაა. ეს ნარკოტიკი იმდენად ახალია, რომ ხშირად ექიმებმა არ იციან, როგორ უშველონ ადამიანს ზედოზირების ან მისგან გამოწვეული ფსიქიკური დარღვევის დროს. ახლა წარმოიდგინეთ, კიდევ უფრო გამკაცრება რამდენ ახალ ნივთიერებას გააჩენს ბაზარზე, ხოლო მათგან გამოწვეული შედეგები დამატებითი პრობლემა გახდება სახელმწიფოსთვისაც, მომხმარებლებისთვისაც და მათი ოჯახის წევრებისთვისაც.

- მიგაჩნიათ თუ არა, რომ მარიხუანა იწვევს დამოკიდებულებას. მაინც რა საფრთხის წინაშე დგება მისი მომხმარებელი და რამდენად მცდარია წარმოდგენა მის უსაფრთხოებაზე?

- ნებისმიერი ნარკოტიკი, ისევე, როგორც სრულად ლეგალური თამბაქო და ალკოჰოლი, იწვევს დამოკიდებულებას. ნებისმიერი ნარკოტიკის მომხმარებელი არის ჯანმრთელობის რღვევის რისკის წინაშე, იქნება ეს ფსიქიკური პრობლემები, ჰეპატიტი თუ სხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ნარკოტიკი საშიშია.

- ნარკოპოლიტიკა საქართველოში მუდამ იყო პოლიტიკური ყონგლიორობის თემა, ზოგადად, პოლიტიკოსები მას იყენებენ პროპაგანდისთვის, ვინაიდან ნარკომანიის საკითხის მიმართ საზოგადოება მგრძნობიარეა. როგორი უნდა იყოს ნარკოპოლიტიკა სინამდვილეში?

- ნარკოპოლიტიკა უნდა იყოს ზრუნვაზე ორიენტირებული. ამ სქემაში მნიშვნელოვანია მომხმარებლებზე ზრუნვა და ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის ძალიან მკაცრი შეზღუდვა. დიახ, სულ იყო ამ ქვეყანაში ნარკოპოლიტიკა პოპულიზმის ინსტრუმენტი, მაგრამ ბევრად საშიშია, როცა ის ხდება პოლიტიკური მანიპულაციის ინსტრუმენტი სისტემის ხელში. ჩვენზე მდიდარმა და ძლიერმა სახელმწიფოებმა ვერ მიაღწიეს შედეგს მკაცრი ნარკოპოლიტიკით. ამიტომ ეს ცვლილებები კიდევ უფრო მეტ პრობლემას შექმნის. არსებობს წარმატებული ჰუმანური რეფორმები და შეგვიძლია, მათი გამცდილება გამოვიყენოთ.

> *„არასდროს ყოფილა საქართველოში ნარკოპოლიტიკა ლიბერალური და თუ წინა ხელისუფლებას დამსახურებულად აკრიტიკებდნენ დრაკონული ნარკოპოლიტიკის გამო, ახლანდელი ცვლილებები ბევრად მძიმე იქნება. რეალურად ამ პრობლემის დაძლევა შესაძლებელია მოთხოვნის შემცირებით. ხოლო მიზნის მისაღწევად მთავარი გზაა მომხმარებლების შემცირება, გადაყვანა დამნაშავის სტატუსიდან პაციენტის სტატუსში მათი მკურნალობის მხარდაჭერით*

ქრონიკა

მე-2 გვერდიდან

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ლაბორატორიული კვლევითი ცენტრისა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

* * *

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ორგანიზებით, კურორტ ბაკურიანში „ლიდერთა სკოლის“ ღონისძიება ჩატარდა, რომელსაც ბათუმის საკრებულოს წევრი რიჩარდ სირაბიძე და ქალაქის მერი არჩილ ჩიქოვანი დაესწრნენ. „ლიდერთა სკოლის“ ღონისძიების ფარგლებში, პანელურ შეხვედრაზე თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს. ღონისძიების მონაწილეებმა განიხილეს და დაგეგმეს, ლიდერთა სკოლის ფარგლებში, მონაწილეების მიერ ინიცირებული პროექტები. თავის მხრივ, ახალგაზრდები იმ სერვისებით დაინტერესდნენ, რომლებსაც მათ, ამ ეტაპზე, სახელმწიფო სთავაზობს. შეხვედრის ბოლოს, ღონისძიების მონაწილეებს ლიდერთა სკოლაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ბრიტანული ცენტრის სასწავლო კურსის 20%-იანი ფასდაკლების ვაუჩერები საჩუქრად გადაეცათ.

* * *

მიმდინარე წელს, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანადაფინანსებით, უსაფრთხო საცხოვრისი 40-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა უკვე შეიძინა. ბათუმის იუსტიციის სახლში, 10 ეკომიგრანტი ოჯახისთვის საკუთრების რეგისტრაციის პროცედურა გაიმართა, რომელსაც სამინისტროს სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტის უფროსი დალი ქიქავა ესწრებოდა. - ეკომიგრანტ ოჯახებს დღეს მივულოცეთ ახალი, უსაფრთხო საცხოვრისი. უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წელს, „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, ბენეფიციარს საშუალება აქვს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხით, საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ააშენოს საცხოვრებელი სახლი. რაც კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის პროგრამას“ - აღნიშნა, დალი ქიქავამ. წლის ბოლომდე, პროგრამით სტიქიის შედეგად დაზარალებული 120 ოჯახი ისარგებლებს, რისთვისაც ბიუჯეტიდან 6 მილიონ 240 ათასი ლარია გათვალისწინებული.სამინისტრო „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამას 2016 წლიდან ახორციელებს, დღემდე პროგრამის ფარგლებში შეძენილია 889 საცხოვრებელი ფართი.

* * *

ქალაქის მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოები. გორგილაძის ქუჩაზე ცივი პლასტის მეთოდით იხაზება „სდექ“ ხაზები, ქვეითთა გადასასვლელები, მიმართულების მანიშნებელი ისრები. ბათუმის მერიის ცნობით, ასევე, მიმდინარეობს ავტობუსის სავალი ზოლის განახლება. პარალელურად, ხორციელდება დაზიანებული სიჩქარის შემზღუდავი ბარიერებისა და საგზაო ნიშნების აღდგენის ღონისძიებები. სამუშაოები, რომელსაც ბათუმის ავტოტრანსპორტი ასრულებს, ეტაპობრივად მთელ ქალაქს მოიცავს.

* * *

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესა და მეთოჯინეთა საერთაშორისო დღეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ღონისძიება მიეძღვნა, რომლის ფარგლებშიც სპექტაკლის ჩვენება გაიმართა. იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მხარდაჭერას. სპექტაკლის შემდეგ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ, ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძესთან ერთად, დააჯილდოვა დაუნის სინდრომის მქონე პატარები და გამოხატა განსაკუთრებული მადლობა მათი, როგორც ჩვენი საზოგადოების შეუცვლელი წევრების მიმართ. ამასთან, ღონისძიების დასასრულ, მოეწყო სხვადასხვა გასართობი აქტივობა, რომელმაც კიდევ უფრო გაულამაზა პატარებს ეს დღე.

* * *

თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სტადიონი და მშვიდი გარემო შუახევში სპორტის უმნიშვნელოვანესი სახეობის - ფეხბურთის განვითარებისთვის შესაბამის ნიადაგს ქმნის. უკვე ათეულობით ჭაბუკი ვარჯიშობს შუახევის სპორტულ ცენტრთან არსებულ სექციაში. ნორჩი ფეხბურთელები ხშირად მონაწილეობენ ტურნირებში, ამხანაგურ მატჩებს მართავენ. ამჯერად, ამხანაგური მატჩი გამართეს ბათუმში მოქმედ საფეხბურთო კლუბ „ვესტ ჯორჯიას“ თანატოლებთან. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე შუახეველი ზაზა დიასამიძის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი გამოდგა და მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა.

დემოკრატიული მმართველობის საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ამ რამდენიმე ხნის წინათ დიდმა ბრიტანეთმა მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებას უმასპინძლა, სადაც მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან წარგზავნილ სხვადასხვა სფეროს არაერთ წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, წარმოედგინათ საკუთარი ქვეყანა... საქართველოდან ამ ღონისძიებას ბსუ-ის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი ***გიგა ფარტენაძე*** *ესწრებოდა. იგი ღონისძიების არსსა და დანიშნულებაზე გვესაუბრა.*

- ბრიტანეთში მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობდით. ვისი თაოსნობით გაიმართა და რა იყო მისი მიზანი?

- ჩემი ვიზიტი პროგრამა John Smit Trust-ის ფარგლებში შედგა. ეს პროგრამა ემსახურება ლიდერების განვითარებას, კარგი მმართველობის გაძლიერებას და დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერას აღმოსავლეთ პარტნიორობის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. პროგრამის მიზანია, შეაიარაღოს ლიდერები ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რაც მათ საშუალებას მისცემს, თავიანთ ქვეყნებში პოზიტიური ცვლილებები განახორციელონ. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, რომელიც აერთიანებს პოლიტიკის შემქმნელებს, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებსა და აქტივისტებს დემოკრატიული მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.

- შეხვედრები გქონდათ შოტლანდიის პარლამენტში, შოტლანდიის პრემიერ-მინისტრთან, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა და ლორდთა პალატებში - საგანმანათლებლო წრეებთან. გვიამბეთ ამის შესახებ...

- ეს შეხვედრები მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ უშუალოდ დავინახეთ, როგორ ფუნქციონირებს დემოკრატიული ინსტიტუტები ბრიტანეთში. შოტლანდიის პარლამენტში განვიხილეთ რეგიონული მმართველობის როლი და ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკაში. შოტლანდიის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრამ მოგვცა შესაძლებლობა, დეტალურად გვესაუბრა შოტლანდიის დემოკრატიულ მმართველობასა და სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებზე. რაც შეეხება თემთა და ლორდთა პალატებს, აქ ყურადღება გამახვილდა არჩევნებში მოქალაქეების მონაწილეობის გაზრდასა და დემოკრატიული სისტემის გამჭვირვალობაზე. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ჩვენი დემოკრატიული პროცესების გაძლიერება, სწორედ, ასეთი პრაქტიკების გათვალისწინებას საჭიროებს.

- ეს საერთაშორისო ღონისძიება ყოველწლიურია. რას გულისხმობს პროგრამა?

- პროგრამაში მონაწილეობა გულისხმობს ყოველი ქვეყნიდან თითო ადამიანის შერჩევას ყოველწლიურად. წელს საქართველოდან მე მხვდა პატივი, წარმომეჩინა ჩვენი ქვეყნის ინტერესები დიდ ბრიტანეთში, უშუალოდ პროგრამაში კი ყოველწლიურად მონაწილეობს, როგორც აღვნიშნე, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან არჩეული თითო პროფესიონალი, რომლებიც აქტიურად მუშაობენ სამოქალაქო საზოგადოების ანდა მმართველობის გაუმჯობესების მიმართულებით. ასეთი მრავალფეროვნება ქმნის უნიკალურ გარემოს იდეებისა და გამოცდილების გაცვლისთვის.

- როგორც აღნიშნეთ, შეხვედრები გქონდათ დიდი ბრიტანეთის სამოქალაქო ორგანიზაციებთან, აქტივისტებთან, როგორებიცაა Young Scot da My Lite, My Say...

- ეს შეხვედრები ძალიან შთაბეჭდავი იყო, რადგან ორივე ორგანიზაცია ახორციელებს ინოვაციურ პროექტებს ახალგაზრდებისთვის. „Young Scot“ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, My Lite, My Say კი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდების მონაწილეობას საარჩევნო პროცესებში. ამ ორგანიზაციების გამოცდილება განსაკუთრებით სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან საქართველოსთვის ახალგაზრდების პოლიტიკური გააქტიურება უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა.

- თქვენს ვიზიტს ბრიტანეთში რა ძირითადი მიზანი ჰქონდა?

- სამი ძირითადი მიზანი: პირველი - წარმომეჩინა და დამეცვა საქართველოს საუკეთესო ინტერესები, მეორე - დამემყარებინა პირადი კონტაქტები ბრიტანეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შემდგომი გაცვლითი პროგრამების დაგეგმვის მიზნით და მესამე - ქართული სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენა, საუკეთესო დემოკრატიული პრაქტიკების შესწავლა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიმართულებით. პროგრამამ მომცა საშუალება ბრიტანეთის მმართველობითი სისტემები, სამოქალაქო აქტივიზმის მოდელები და ეს ცოდნა გამეზიარებინა საქართველოს რეალობაში.

> ***„ეს შეხვედრები მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ უშუალოდ დავინახეთ, როგორ ფუნქციონირებს დემოკრატიული ინსტიტუტები ბრიტანეთიში. შოტლანდიის პარლამენტში განვიხილეთ რეგიონული მმართველობის როლი და ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკაში. შოტლანდიის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრამ მოგვცა შესაძლებლობა, დეტალურად გვესაუბრა შოტლანდიის დემოკრატიულ მმართველობასა და სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებზე***

- ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება როგორ გესახებათ?

- სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება შესაძლებელია ცნობიერების ამაღლებით, ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვით და ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწით. პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა მარწმუნებს, რომ აუცილებელია ინფორმაციული კამპანიების გაძლიერება, რეგიონული ინიციატივების ხელშეწყობა, ახალგაზრდების პოლიტიკური განათლების გაუმჯობესება და სამოქალაქო სექტორსა და ხელისუფლებას შორის დიალოგის გააქტიურება.

- ბრიტანეთის პარლამენტარებს, ძირითადად, რა საკითხებზე ესაუბრეთ?

- ჩვენი დისკუსიის ძირითადი თემა იყო არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა, ახალგაზრდების როლის გააქტიურება პოლიტიკაში, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა. გარდა ამისა, ვისაუბრეთ საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესებსა და დიდ ბრიტანეთთან თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივაზე.

- რომელი ქვეყნის წარმომადგენლის მოხსენებამ მიიპყრო თქვენი ყურადღება?

- ყველა მოხსენება იყო საინტერესო, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც ბოლო წლებში წარმატებულად ახორციელებენ დემოკრატიულ რეფორმებს. მაგალითად, ძალიან საინტერესო იყო ინგლისისა და შოტლანდიის ქეისი, რომელიც ეხებოდა ახალგაზრდების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის გაზრდის ინოვაციურ მეთოდებს.

- თუ შევადარებთ ბრიტანეთის და საქართველოს საგანმანათლებლო სფეროს, რა შეიძლება ითქვას ამ მიმართებით?

- ბრიტანეთის საგანმანათლებლო სისტემა დიდ ყურადღებას უთმობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, სამოქალაქო განათლებასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. სკოლები და უნივერსიტეტები ახალგაზრდებს აქტიურად რთავენ დემოკრატიულ პროცესებში. საქართველოში ამ მიმართებით კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა არის საჭირო, რათა ახალგაზრდებმა უკეთ გააცნობიერონ თავიანთი როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

- გვერდს ვერ ავუვლით უკრაინას, ამ მხრივ თუ იყო საუბარი?

- დიახ, შეხვედრაზე უკრაინაში მიმდინარე ომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო, აქცენტები გამახვილდა ომის გავლენაზე რეგიონალური უსაფრთხოების კუთხით, დემოკრატიულ ღირებულებებსა და საერთაშორისო მხარდაჭერაზე.

- თქვენი კარიერული განვითარებისთვის რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ ღონისძიებაში მონაწილეობა?

- ეს პროგრამა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული იყო, რადგან გავიღრმავე ცოდნა დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მმართველობის შესახებ, ამასთანავე, დავამყარე კავშირები საგანმანათლებლო წრეებთან, საერთაშორისო ექსპერტებთან, პარლამენტარებთან, რაც ხელს შემიწყობს წარმატებულ საქმიანობაში.

- დაბოლოს, რა უნდა გააკეთოს საქართველომ, ევროპული ყაიდის სახელმწიფო რომ გახდეს?

- საქართველოში უნდა გაძლიერდეს დემოკრატიული ინსტიტუტები, უზრუნველყოფილი იყოს თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები, ხელი შეეწყოს დამოუკიდებელ სამოქალაქო აქტივიზმს, შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც მოქალაქეები აქტიურად ჩაერთვებიან ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან, საჭიროა ევროკავშირთან და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის აღდგენა, რათა საქართველო გახდეს ევროკავშირის ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

ბალეტი – სილამაზისა და სირთულის სინთეზი

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ***ანა ჯოხნელიძე.*** *ანა ბათუმში დაიბადა, სწავლობს №2 საჯარო სკოლაში. წელს იგი აბიტურიენტია, თუმცა, როგორც თავად გვითხრა, ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, რომელ ფაკულტეტზე ჩააბარებს. მიუხედავად იმისა, რომ 17 წლისაა, სწავლის პარალელურად, სტუდია „ბასტი-ბუბუში“ დამწყებ პედაგოგად მუშაობს და პატარა ბალერინებს კლასიკურ ბალეტს ასწავლის.*

- როგორ და როდის დაინტერესდით ბალეტით?

- ჯერ კიდევ პატარაობისას ვოცნებობდი, ცნობილი ბალერინა გამოვსულიყავი. მახსოვს, ბაღიდანვე ვუსმენდი მუსიკას, ვდგამდი კონცერტებს, სადაც პრიმა ბალერინა ვიყავი (იცინის). ჩემი მაყურებლები ოჯახის წევრები იყვნენ. შემდეგ კი დადგა ნანატრი დღეც და მშობლებმა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლაში მიმიყვანეს, რისთვისაც მათ ძალიან დიდ მადლობას ვუხდი. ისინი - დედა, მამა და ბებო დღემდე ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივრები არიან. ასე მოვხვდი საბალეტო სკოლაში.

- ბალერინობა შრომატევადია, ჯარისკაცის შრომას ადარებენ... რატომ აირჩიეთ ეს სფერო?

- საბალეტო სკოლაში უდიდესი სითბო დამხვდა, რომელიც დღემდე მომყვება. შემხვდა საუკეთესო მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი ანი ფირცხალაიშვილი. იგი დაუღალავად შრომობდა, რომ შეექმნა ჩემი საუკეთესო ვერსია. ანი მასწავლებელმა კიდევ უფრო შემაყვარა ბალეტი. ბალერინას თავისი ოცნების მისაღწევად დაუღალავი შრომა სჭირდება, თუმცა მიუხედავად ამისა, ჩემს სურვილებზე უარი არ მითქვამს.

- რა თვისებებია საჭირო, ამ პროფესიაში წარმატებას რომ მიაღწიო?

- წარმატებულ ბალერინას, პირველ რიგში, უნდა ჰქონდეს სათანადო მონაცემები - კარგი სმენა, კარგი ტერფები, წონაც უნდა უწყობდეს ხელს და რა თქმა უნდა, წარმატებას სჭირდება დაუღალავი შრომა, სისტემატური და ხანგრძლივი ვარჯიში, რომლის დროსაც თითოეული მოძრაობა დიდი სიფრთხილით უნდა შეასრულო, რათა არ დაგეჭიმოს კუნთი, ფეხი არ გადაგიბრუნდეს...

- როგორია თქვენი ყოველდღიური რუტინა?

- ჩემი ყოველი დღე იწყება ადრე გაღვიძებით. შემდეგია მოწესრიგება და სკოლაში წასვლა. ბათუმის №2 საჯარო სკოლაში ვსწავლობ. სკოლიდან შუადღეზე ვბრუნდები სახლში და ბალეტზე წასასვლელად ვემზადები. ვალაგებ ჩანთას, სადაც მაქვს ბალეტისთვის საჭირო ნივთები, ვიწესრიგებ თმებს და მივდივარ საბალეტო სკოლაში, სადაც გავდივარ როგორც თანამედროვე ცეკვის გაკვეთილებს, ისე კლასიკას, ქართული ცეკვის გაკვეთილებს და მსახიობის ოსტატობას. ასევე, გავიარეთ ფორტეპიანოს 6-წლედი და გვიტარდება მასტერკლასებიც.

- რომელია თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი დადგმა და რატომ?

- ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი სცენაზე პირველად გასვლა იყო, ასევე, როდესაც პირველად შევასრულე თანამედროვე ცეკვა - ბახის ნაწარმოებიდან. დაუვიწყარი დღეები გავატარეთ ქალაქ რიგაში, სადაც ჩვენი შრომა სცენაზე გავიტანეთ. ბევრი რამ ვისწავლე იქ ყოფნისას, გვქონდა მასტერკლასები, შევხდით ცნობილ ბალერინებსაც.

- როგორ ამზადებთ სხეულს და გონებას რთული გამოსვლებისთვის?

- დიდი გულისყურით ვეკიდები სერიოზულ გამოსვლას, ვცდილობ, დავისვენო, მენტალურად მოვემზადო რთული დღისთვის, ვიყო მობილიზებული.

იხ. მე-9 გვ.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტსა და რეფერენდუმს ეხმიანებიან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

31 მარტი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებისა და ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობის აღდგენის საყოველთაო რეფერენდუმის დღეა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე საერთო-სახალხო კენჭისყრა სწორედ მაშინდელი (1991 წელი) უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ჩატარდა, ცნობილია, რომ მას ჰყავდა გულმხურვალე მომხრეებიც და უკიდურესად განწყობილი მოწინააღმდეგეებიც, თუმცა ფაქტია, რომ ეს ადამიანი დიდი ფიგურაა საქართველოს ისტორიაში, რადგან განუზომელი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ამიტომ დღეს, როცა ამ მონაპოვრის - საქართველოს თავისუფლების, სუვერენიტეტის განმტკიცება-განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ძალიან საინტერესოა იმ ადამიანების მოგონებები, რომლებსაც, თუნდაც მცირე, შეხება ჰქონდათ ზვიად გამსახურდიასთან, ვინც, სამწუხაროდ, ცნობილი მიზეზების გამო, ტრაგიკულად და საკმაოდ ბუნდოვან გარემოებებში დაამთავრა თავისი სიცოცხლე. აჭარის მთიანეთს მრავლად შემორჩენენ ადამიანები, რომლებსაც პირველ პრეზიდენტთან ურთიერთობა ჰქონიათ. გთავაზობთ მათ მოგონებებს



დიმიტრი ბერიძე, ექიმი:

- წინა საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. ეს ის დრო იყო, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო შუახეველი ტარიელ ფუტკარაძე. ტარიელი და კიდევ რამდენიმე ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული სტუდენტი უკვე აღარ მალავდა ზვიადთან და მერაბ კოსტავასთან ურთიერთობებს. ერთ დღესაც პატივი მერგო ეროვნული მოძრაობის ორგანიზატორებთან შეხვედრის. 40 წელზე მეტია გასული, მაგრამ ის დღე მეხსიერებიდან არ წაშლილა. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მშობლიურ შუახევს დავუბრუნდი. ის პათოსი, რომელიც ზვიადთან პირველი შეხვედრისას მივიღე, აქაც გრძელდებოდა. საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ავირჩიეთ პირველი პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო, ჩავატარეთ რეფერენდუმი. შუახევშიც კომუნისტურ რეჟიმს უარი უთხრეს. ზაფხულის ერთ დღეს (მეტატიანეს ეს ფოტოც გადანახული აქვს) პირველი პრეზიდენტი გვესტუმრა, რაც იმ ეტაპზე თითოეული შუახეველისთვის დიდ პატივად ჩავთვალეთ. ადმინისტრაციული შენობის დარბაზში საინტერესო და საქმიანი შეხვედრა გაიმართა. სიტყვით მეც გამოვედი. პირველი შეხვედრიდან 10 წელი იყო გასული, მაგრამ პრეზიდენტის კრისტალურ მეხსიერებას არ დავიწყებოდა. გულისყურით მომისმინა, თხოვნასაც ყურადღებით მოეკიდა, მაგრამ ვინ დაიცალა... გული მწყდება, რომ ეროვნულ გმირს ერმა ვერ უპატრონა და მისი ქვეყნიდან გაძევება, დღემდე გამოუძიებელი გარდაცვალება სისხლიან ქრონიკადაა ჩაწერილი დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველოს ისტორიაში.



მერაბ დავითაძე, ეკონომისტი, სოფელ ოქროპილაურის მკვიდრი:

- იდგა 1988 წლის გაზაფხული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დამამთავრებელ კურსზე ვსწავლობდი. სტუდენტებს გვითხრეს, რომ პირველი კორპუსის წინ შევკრებილიყავით, რადგან გარეჯის სამონასტრო კომპლექსს სამხედრო პოლიგონად იყენებდნენ და ისტორიული ძეგლი საფრთხის წინაშე იყო, სამხედრო მანევრებისა და გამუდმებული სროლების აკრძალვას ითხოვდნენ საპროტესტო მიტინგის ორგანიზატორები. მიტინგს ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და გიორგი ჭანტურია უძღვებოდნენ. რა დასამალია და ყველას გვაინტერესებდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან შეხვედრა... მიტინგი 2 საათს გაგრძელდა. ვისმენდით გულანთებული მამულიშვილების სიტყვებს და ვნატრობდით იმ დროს, როცა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდებოდა. ნატვრა რეალობად იქცა. თბილისში ჩასული, დღესაც, დროის დეფიციტის მიუხედავად, პირველი კორპუსის ეზოში შევივლი ხოლმე და ღირსეულ მამულიშვილებს გავიხსენებ. მათმა შეუპოვარმა ბრძოლამ, გაუტეხელმა ნებისყოფამ ხომ დღევანდელობა მოგვიტანა და მას მეტი გაფრთხილება უნდა.

შალვა ველიაძე, სოფელ წაბლანის მკვიდრი (შუახევის რაიონი):

-1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ პერიფერიებში ეროვნული მოძრაობის მუხტი გააქტიურა. გამონაკლისი ვერც აჭარა და ბათუმი იქნებოდა. კომუნისტური რეჟიმის მიმდევრებმა ბათუმში გამართულ მიტინგზე ზვიად გამსახურდიას გამოსვლა კონტექსტიდან ამოგლეჯილად შეაფასეს და საზოგადოებაში მისი მისამართით სიძულვილის ტალღა ააგორეს. იმ დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე აჭარიდან წარგზავნილი სტუდენტები მრავლად ვიყავით. ვნახეთ, რომ მე, ნუგზარ შაინიძეს, რამინ, დალი შავაძეებს, რამინ მამულაძეს, ჯუმბერ ცეცხლაძეს, ნაზი თურმანიძესა და კიდევ რამდენიმეს დეკანი კორნელი დანელია და პროფესორი ნათელა ქუთელია დეკანატში გვიხმობდნენ. იქ იყო ზვიად გამსახურდიაც. მათ გვთხოვეს აჭარის სოფლებში წამოსვლა და მოსახლეობაში აგორებული დეზინფორმაციის რეალური განმარტება. ზვიადი კოლხური სიდარბაისლით დაგვემშვიდობა და წარმატებები გვისურვა. უკვე მართლმადიდებელი ვარ. ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან ზიარებას საფუძველი ზვიადთან პირველი შეხვედრის დროს დაედო.



აკაკი მახარაძე, მწერალი:

- ამას წინათ ბათუმში, ქუჩაში მიმავალი უცნობმა მამაკაცმა გამაჩერა - მწერალი აკაკი მახარაძე თქვენ ხართ? - მკითხა მოულოდნელად.

დასამალი რა მქონდა. დედათქვენი ქობულეთელი მანელიშვილების გვარის ქალი იყო, ამ გვარის შვილებს მეგობრული ურთიერთობები ჰქონდათ აბაშელ გამსახურდიებთან, „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორი კონსტანტინე გამსახურდია ქობულეთში რომ ჩამოდიოდა, მანელიშვილებს მოიკითხავდაო. უცნობი მალე ნაცნობად მექცა. ფინჯან ყავაზე დავპატიჟე და ქართული ადათისამებრ ყავა და ნამცხვარი ღვინომ და მწვადმა ჩაანაცვლა... წუთისოფელში არაფერი იკარგება. კონსტანტინესთან არა, მაგრამ მე და ჩემს 4 ძმას ახლო ურთიერთობები გვქონდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტთან. სამხედრო სასწავლებლის კურსანტი ზოგჯერ მიტინგებსა და საჯარო ღონისძიებებზეც შევიპარებოდი, ცნობისმოყვარეობა მაშინაც არ მაკლდა. მრავალჯერ მსმენია ზვიადის სახელი. ალბათ ეს შთაბეჭდილებები ერთხელაც ჩემს შემოქმედებაში თავის ადგილს დაიჭერს.



ნუგზარ ფუტკარაძე, დაბა შუახევის მკვიდრი:

- ახლად დაოჯახებული ვიყავი, როცა აჭარის მთიანეთიდან 100-მდე ოჯახი საცხოვრებლად და სამუშაოდ ჩრდილოეთ კავკასიაში „გადაგვისროლეს“. ჩემი თანასოფლელი ძმების ნუგზარ და ემზარ ფუტკარაძეების და რამდენიმე სხვა პიროვნების ოჯახები ახლაც იქ არიან. ნუგზარი გარდაიცვალა. იმ პერიოდში ზვიად გამსახურდიას კომუნისტურმა რეჟიმმა დისიდენტობაში დასდო ბრალი და ჩვენ სიახლოვეს არსებულ ზაფხულის საძოვრებზე, სადაც ქართველი მეცხვარეები ზაფხულში პირუტყვს აბინავებდნენ, იხდიდა სასჯელს. მან ხულოელი ბადრი მელაძის საცხოვრებელი სახლი შეკრებების ადგილად აქცია. ეროვნული მოძრაობისადმი თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულება მისთვის მალე ნათელი გახდა. ერთი შეხედვით, თითქოსდა მიუკარებელი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ შინაგანად წრფელი და მიმტევებელი იყო. მაოცებდა მისი დამოკიდებულება მართლმადიდებლური მრწამსისადმი. სწორედ ეს დამოკიდებულება იქცა მიზეზად, რომ პრეზიდენტად არჩევისთანავე, საქართველოში მართლმადიდებლური დღესასწაულები უქმე დღეებად გამოაცხადა. როგორც კი საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყო, კრასნოდარი მივატოვე და მშობლიურ ქვეყანას დავუბრუნდი. უკვე შვილიშვილებსაც მოვესწარი. ცხოვრებას არ ვემდური, მაგრამ ზვიად გამსახურდიას რჩევებს რომ არ გადავუხვიე, თავს ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ.

წლის საუკეთესო სპორტსმენები – სალომე მელია და მამუკა კორძაია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „სპორტის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში, სხვადასხვა ნომინაციაში, ტრადიციულად, „გასული წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენი“ (გოგონათა და ვაჟთა შორის), „წლის დებიუტანტი“, „წლის ვეტერანი“, „სპორტის მოამაგე“, „წლის სპორტული ჟურნალისტი“, „წლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი“, „სპორტული კლუბი - კარგი მმართველობა“, „წლის მწვრთნელი“, „წლის გუნდი“ გამოავლინეს, დაჯილდოება „აჭარა-ბეთარენას“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. დაწესებული იყო კიდევ რამდენიმე სპეციალური პრიზი - „განსაკუთრებული სპორტული მიღწევებისთვის“, „სპორტსმენი - ბათუმისთვის“, „წარმატებული კლუბი“, „მებრძოლი გუნდი“, „სპორტის ერთგული მსახურებისთვის“

14 სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს ჯილდოები ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რამაზ ჯინჭარაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძემ, აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, მინისტრთა კაბინეტის, ბათუმის მერიის, საკრებულოს წარმომადგენლებმა გადასცეს.

წარმატებულ სპორტსმენებსა და სპორტის სფეროში მოღვაწეებს დიპლომები, ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

საუკეთესოები გამოვლინდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ჭადრაკში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, ფიგურულ სრიალში...

- დღეს განსაკუთრებული საღამოა ბათუმისთვის - დავაჯილდოვეთ ჩვენი სპორტსმენები, მწვრთნელები და სპორტის სფეროში მოღვაწე ადამიანები, დავაფასეთ მათი დაუღალავი შრომა, ძალისხმევა და გამარჯვებები. ტყუილად არ არის ჩვენი ქალაქი ევროპის სპორტული ქალაქის ტიტულის მფლობელი. ბოლო წლებში სპორტისადმი მხარდაჭერა აჭარის მთავრობის ხელწერაა და მადლობა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძეს განხორციელებული პროექტებისთვის, მინისტრ მაია ხაჯიშვილს, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური სახეობების განვითარებისთვის, მადლობა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძეს, რომლის მოღვაწეობის პერიოდში არაერთი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტი გაკეთდა, მათ შორის ყინულის სასახლე, ფეხბურთის სტადიონი... მათ მაღალი შეფასება მიიღეს არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. პროექტების განხორციელება კვლავაც გრძელდება, გრძელდება ის განვითარება, რასაც ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარება ჰქვია. რა თქმა უნდა, სპორტი ჩვენი ქალაქისთვის, შვილებისთვის ნომერ პირველი პრიორიტეტია და ვინც მას ამა თუ იმ სახით ემსახურება - დიდი მადლობა. ჩვენი საამაყო სპორტსმენები არა მხოლოდ ჩვენს ქალაქს, არამედ საქართველოს ასახელებენ. გულწრფელად გილოცავთ მიღწეულ წარმატებებს და მადლობას გიხდით იმ თავდაუზოგავი შრომისთვის, რომელიც არა მხოლოდ თქვენს პირად კარიერას, არამედ ჩვენს ქალაქს და ქვეყანას საამაყოს ხდის, - თქვა არჩილ ჩიქოვანმა.

წარმოგიდგენთ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს:

წლის სპორტსმენი - სალომე მელია, მამუკა კორძაია;

წლის მწვრთნელი - ხათუნა გიორგაძე, ჯემალ კილაძე;

წლის დებიუტანტი - მარიამ კალანდაძე, რატი დიასამიძე;

წლის ვეტერანი - უჩა მაისურაძე, პაატა ურიადმყოფელი;

წლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი - ზვიად აბაშიძე, ნონა გორგილაძე, ეთერ ხიმშიაშვილი, კახაბერ ხომერიკი, გიორგი კიკალიშვილი;

წლის სპორტული ჟურნალისტი - სეილან წილოსანი, მანანა (დარეჯან) ძიძიშვილი, ირაკლი დარცმელიძე;

სპორტის მოამაგე - დარეჯან დიასამიძე, თალიკო გაბეჩავა, იასონ კამკია, სვეტლანა უტიანსკაია, შალვა ტაბაღუა;

წლის გუნდი - ხელბურთის კლუბი ბათუმი (შავი ზღვის ბიჭები);

სპორტული კლუბი - კარგი მმართველობა - ხელბურთის კლუბი ბათუმი;

განსაკუთრებული სპორტული მიღწევები - ანრი გოგუაძე, კობა გოგუაძე, ზებურ აბაშიძე, ლუკა მახარაძე;

სპორტსმენი - ბათუმისთვის - ელენე ქათამაძე, ირინე ჩხეტიანი, გიგა ბაინაზიშვილი, ანრი მიქელაძე, ირაკლი სულაბერიძე, ნიკოლ ფადეევა, აბუსერ აბუსერიძე, ლელა ჩოფიკაშვილი, სესილი ბერძენიშვილი, მერაბ ჭანტურია, ედუარდ ხომერიკი, მარიამ ქათამაძე, საბა დიასამიძე;

წარმატებული კლუბი - საჭადრაკო კლუბი ნონა, ბათუმის სპორტული ცენტრი, ფრენბურთის კლუბი ბათუმი;

მებრძოლი გუნდი - ბათუმის სპორტული ცენტრის ქალთა ფეხბურთის გუნდი, ბათუმის სპორტული ცენტრის ქვიშის ფეხბურთის გუნდი;

სპორტის ერთგული მსახურებისთვის - ჯემალ არობელიძე.

სიახლე

„სამედიცინო რეინჯერი“ – ახალი პროფესია გადაუდებელი დახმარების სფეროში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმის სამედიცინო აკადემია საქართველოში სრულიად ახალ სასწავლო პროგრამას ახორციელებს. „სამედიცინო რეინჯერის“ მიზანი გადაუდებელი მედიცინის და სასწრაფო დახმარების მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებაა. პირველი ნაკადის სწავლება სრულად დაფინანსებულია მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალ „მედცენტრის“ მიერ. აღსანიშნავია, რომ 25 კურსდამთავრებული სწავლების დასრულებისთანავე, ამავე კლინიკაში დასაქმდება. პროგრამა წარმოადგენს ახალ შესაძლებლობას ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ პრაქტიკული გამოცდილების მიღება და კარიერის დაწყება სამედიცინო სფეროში

პროექტზე უფრო ვრცლად ბათუმის სამედიცინო აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და სოციალური მედიის მენეჯერი ***ელენე პურტანიძე*** *გვესაუბრება.*

- როგორ გაჩნდა „სამედიცინო რეინჯერის“ პროგრამის შექმნის იდეა და რა არის მისი მიზანი?

- პროგრამის იდეა პრაქტიკული საჭიროებიდან დაიბადა - სამედიცინო დაწესებულებებში ხშირად იქმნება სიტუაცია, როდესაც აუცილებელია პაციენტების უსაფრთხოდ გადაადგილება, გადაუდებელი დახმარების გაწევა და სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერა, თუმცა ამ მიმართულებით სპეციალურად მომზადებული კადრები არ არსებობდნენ. სწორედ ამიტომ, ბათუმის სამედიცინო აკადემიამ შექმნა პროგრამა, რომელიც მოამზადებს სპეციალისტებს, რომლებიც შეძლებენ ამ გამოწვევებთან გამკლავებას. „სამედიცინო რეინჯერის“ პროგრამა საქართველოში აშშ-ის საელჩოს გრანტის დაფინანსებით შეიქმნა. მისი ავტორები არიან მანანა ჯაშიაშვილი, რომელიც ბათუმის სამედიცინო აკადემიის საექთნო განათლების პროგრამის ხელმძღვანელია და ქეთევან დიასამიძე, მაღალტექნოლოგიურ ჰოსპიტალ „მედცენტრის“ მთავარი ექთანი. პროგრამის განხორციელება „მედცენტრის“ სრული ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, რაც სტუდენტებისთვის უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის - მათთვის სწავლა სრულად დაფინანსებულია, ხოლო კურსდამთავრებულებს აქვთ დასაქმების გარანტია „მედცენტრის" კლინიკაში. აქვე გეტყვით, რომ პროგრამის სახელწოდება - „სამედიცინო რეინჯერი“ - აკადემიის დირექტორის იდეაა და სრულად ასახავს ამ ახალი პროფესიის არსს: რეინჯერი არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის მზადაა სწრაფი რეაგირებისთვის. იგი უზრუნველყოფს პაციენტის უსაფრთხო გადაადგილებას და ხშირად არის პირველი, ვინც ექიმამდელი დახმარების აღმოჩენას ახერხებს.

- რა კრიტერიუმებით შეირჩევიან პირველი ნაკადის სტუდენტები?

- მნიშვნელოვანია, რომ პირველი ნაკადის სწავლება სრულად დაფინანსებულია ჰოსპიტალ „მედცენტრის“ მიერ და 25 კურსდამთავრებული სწავლის დასრულებისთანავე დასაქმდება ამავე კლინიკაში. პროგრამა ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის, ვისაც შეუსრულდა 18 წელი და სურს სამედიცინო სფეროში კარიერის დაწყება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო რეინჯერის პროფესია გარკვეულ ფიზიკურ მზაობასაც მოითხოვს - პაციენტების გადაადგილება, კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირება და ტექნიკური აღჭურვილობის მართვა მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვას გულისხმობს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ პროფესიით, ძირითადად მამაკაცები ინტერესდებიან, თუმცა პროგრამა ღიაა ნებისმიერი მსურველისთვის, ვინც ფიზიკურად მზადაა მსგავსი გამოწვევებისთვის.

- რა სახის ცოდნას და უნარებს შეიძენენ კურსდამთავრებულები?

- პროგრამა პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებზეა ორიენტირებული. მსმენელები დაეუფლებიან ისეთ მნიშვნელოვან კომპეტენციებს, როგორიცაა: პაციენტების უსაფრთხო ტრანსპორტირება - როგორ გადაიყვანონ პაციენტი უსაფრთხოდ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. ექიმამდელი დახმარება - CPR (გულ-ფილტვის რეანიმაცია), სისხლდენის შეჩერება, ტრავმების მართვა და სხვა გადაუდებელი სამედიცინო მანიპულაციები. კლინიკური კომუნიკაცია - როგორ მოახდინონ ზუსტი და ეფექტური ინფორმაციის გადაცემა სამედიცინო პერსონალსა და პაციენტებს შორის. სტრესულ სიტუაციებში სწრაფი მოქმედება - პროგრამა მსმენელებს ამზადებს კრიზისულ გარემოში მუშაობისთვის, სადაც სწრაფი და მტკიცე გადაწყვეტილებები გადამწყვეტია. სამედიცინო ტერმინოლოგიის ცოდნა - რეინჯერი უნდა იყოს კარგად გათვითცნობიერებული სამედიცინო ტერმინებში, რათა სწორად აღიქვას და გადაამუშაოს კლინიკური ინფორმაცია.

- რა დროს მოიცავს სწავლების პროცესი?

- 6-8 კვირას, რომლის განმავლობაში მსმენელები 60-საათიან სასწავლო პროგრამას გაივლიან. თეორიული კურსი ბათუმის სამედიცინო აკადემიაში მიმდინარეობს, ხოლო პრაქტიკული ნაწილი - „მედცენტრის" კლინიკაში. კურსის ბოლოს ისინი გაივლიან შეფასებას OSCE მეთოდით. წარმატებული კურსდამთავრებულები მიიღებენ სერტიფიკატს.

- როგორია „მედცენტრთან“ თანამშრომლობის პირობები და რამდენად გრძელვადიანია ეს ინიციატივა?

- ბათუმის სამედიცინო აკადემიას „მედცენტრთან“ უკვე დიდი ხანია მჭიდრო თანამშრომლობა აქვს. აღნიშნული კლინიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრაქტიკის თვალსაზრისით, ეს ის ადგილია, სადაც სტუდენტები რეალურ გარემოში სწავლობენ.

- კიდევ რა პროგრამებს ახორციელებთ?

- ბათუმის სამედიცინო აკადემია ახორციელებს სხვადასხვა პროფესიულ პროგრამას, ესენია: საექთნო საქმე, ფარმაცია (სააფთიაქო), კბილის სატექნიკო საქმე, ასევე, მასაჟის შემსწავლელი და გერიატრიული ასისტენტის კურსები.

- რა შეიძლება ითქვას სამედიცინო რეინჯერის პროფესიაზე პერსპექტივის თვალსაზრისით?

- პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა, დასაქმდნენ კლინიკებში, სასწრაფო დახმარების ჯგუფებში, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურებში. ეს არის პროფესია, რომელიც არა მხოლოდ სტაბილურ სამსახურს იძლევა, არამედ საშუალებას აძლევს ადამიანს, კრიზისულ სიტუაციებში დაიცვას სხვების სიცოცხლე.

- დაინტერესებულმა პირებმა რა ეტაპები უნდა გაიაროს პროგრამაში ჩასართავად?

- რეგისტრაციისთვის საკმარისია, მსურველებმა დარეკონ ნომერზე 593 408 070, ან ეწვიონ ბათუმში, ტბეთის ქ. №4-ს. ასევე, შესაძლებელია რეგისტრაციის გავლა ბათუმის სამედიცინო აკადემიის სოციალური ქსელების საშუალებით, მიღება - გასაუბრების საფუძველზე.

ლექსი – მისი სულის პორტრეტი

პოეტური სულის ქალბატონია მზია თავართქილაძე და ეს ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს. ლექსებს ვწერ, მაგრამ საქართველოში, ბუმბერაზი პოეტების ქვეყანაში, თავს პოეტად როგორ მივიჩნევო, ამბობს იგი

იმ სინათლის წყარო, რომელსაც ეს ქალბატონი ასხივებს, აჭარის შეუდარებელი ბუნებაა - ბათუმის ბულვარი და ზღვის სანაპირო, სადაც თავს ისე გრძნობს, როგორც ზღაპარში... აკი ამბობს კიდეც: „სიყვარულის სამოთხეა ჩემი მხარე, აქ მზე ისე იღიმება, ვით ზღაპარში“.

ბუნებისადმი უსაზღვრო სიყვარული სიმღერად იღვრება მის ემოციერ სტრიქონებში:

„მზე გაბადრული,
ბრდღვიალა,
ბუნება - მწვანე, ხასხასა,
წყარო - ანკარა, წკრიალა“.

პოეტი რისი პოეტია, დროდადრო სევდაც რომ არ მოეძალოს, ამიტომ ჩაფიქრებულს ესეც აღმოხდენია:

„სევდის თასმებში დავცურავ
ფიქრის დაწნული ტივითა...“.

ფიქრიც და ნაღველიც ქვეყნის სიყვარულის გამო შემოსწოლია:

„გულს ჯავრად შემომწოლია
მამულო, შენი ავხვედრი,
შენი გაბრწყინების იმედებს
ლოდინში შემოვაბერდი“...

ლიტერატურული სასხლე

ბალეტი – სილამაზისა და სირთულის სინთეზი

მე-5 გვერდიდან

- როგორ უმკლავდებით ტრავმებსა და ფიზიკურ დატვირთვას?

- ძალიან რთულია ტრავმებთან გამკლავება, არაერთხელ გამოვცადე ეს ყოველივე. ბევრჯერ დამიზიანა პუანტებმა ფეხის თითები, შემდგომ მალამოებით ვიმუშავებდი.

- რომელი ბალეტია თქვენი ფავორიტი და რატომ?

- ჩემი საყვარელი ბალეტია „გედების ტბა“, რომელიც პრინცესა ოდეტას ამბავს მოგვითხრობს. ის ბოროტი ჯადოქრის წყევლის შედეგად გედად გადაიქცევა. ამ დადგმაში ყველაფერი თვალსაჩინოა. ბალერინები თავიანთ გულისტკივილს, ბედნიერებას და სიყვარულს ცეკვით გადმოსცემენ.

- რა ემოციას გრძნობთ სცენაზე ყოფნისას ?

- სცენაზე ამაყი და უბედნიერესი ვარ. ცეკვისას ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ თავს, გამოვხატავ ბედნიერებას და, ამავდროულად, დარდს.

- როგორია ცხოვრება სცენის მიღმა?

- ჩვეულებრივ ცხოვრებაზე რთულია. ძალიან შრომატევადი პროფესიაა. იყო ბალერინა - ძალიან დიდ ძალებს მოითხოვს, ძლიერი ფიზიკური და მენტალური დატვირთვაა.

- თქვენი აზრით, რა პერსპექტივაა ბათუმში ამ მხრივ?

- სკოლის დასრულების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად თბილისში ან საზღვარგარეთ წასვლა გვიწევს. სამწუხაროდ, დასი არ არის ბათუმში. მოხარული ვიქნები, თუ აქაც ჩამოყალიბდება დასი, რათა ჩვენს ქალაქში დარჩენა შევძლოთ. თბილისში კამერული დასია, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული რამდენიმე გოგო იქ ცეკვავს.

- ბოლომდე აპირებთ გაჰყვეთ ამ სფეროს?

- ვაპირებ, რადგან ჩემთვის ყველაფერია და ძალიან მნიშვნელოვანია. სამომავლოდ, ამ მხრივ, თბილისში და უცხოეთში წასვლასაც განვიხილავ. ამჟამად ვმუშაობ სტუდია „ბასტი-ბუბუში,“ ვარ დამწყები პედაგოგი. მყავს უსაყვარლესი პატარა ბალერინები. მათ კლასიკური ბალეტის გაკვეთილებს ვუტარებ.

- არის კონკრეტული როლები, რომლებზეც ოცნებობთ?

- პატარაობიდანვე კულისებიდან ვუყურებდი კურსდამთავრებულებს, როგორ ასრულებდნენ ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებებზე ნომინაციებს. წელს მერგო ეს ბედნიერება და თავად ვასრულებ სოლო პარტიას ჩემს თანაკლასელთან ერთად. დიდ მადლობას ვუხდი პედაგოგ ანი ფირცხალაიშვილსა და საბალეტო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ირმა მსხალაძეს, რომლებმაც ჩემს წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს. მიხარია, რომ მომეცა საშუალება, შემესრულებინა ცეკვა „შოპენიანა“. ასევე ძალიან მინდა „გედების ტბის“ შესრულება შევძლო, ვიცი, ძალიან რთულია და დიდ შრომასთანაა დაკავშირებული.

- რა გეგმები გაქვთ?

- ჩემი მიზანია, გავხდე წარმატებული ბალერინა და ამისთვის დაუღალავად ვშრომობ, მომავალში ვგეგმავ, ევროპაში ვცადო ბედი.

ხსოვნა

ლოლა ტუმასიანი-ანანიძე – გაზაფხულმა წაგვართვა გაზაფხულივით გოგო

ჩვენი გაზეთის რედაქციამ დიდი დანაკლისი განიცადა - გარდაიცვალა „აჭარის“ რუსული ჩანართის - „ადჟარიას“ რედაქტორი ლოლა ტუმასიანი-ანანიძე. თითქმის ორი წელიწადი მამაცურად ებრძოდა ვერაგ დაავადებას, მაგრამ ეს გაზაფხული, სამწუხაროდ, ბოლო აღმოჩნდა მისთვის.

17 წლის წინათ, სწორედ მარტში (უფრო ზუსტად - 8 მარტს), გამოვიდა მისი რედაქტორობით „ადჟარიას“ პირველი ნომერი. მას შემდეგ ერთად გავიარეთ მოვლენებით დატვირთული წლები, ჩვენი ქვეყნის თუ პირადი სამწუხარო და სასიხარულო ამბები.

წინ კიდევ დიდი გზა უნდა ჰქონოდა კარიერაშიც, ოჯახშიც, სადაც მეუღლე და ორი შვილი (ანრი და ლილე) დარჩა... ბოლო წლებში ყველას დაამახსოვრა თავი საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაში გადაღებული საინტერესო სიუჟეტებით... განგებამ სხვაგვარად განსაზღვრა და განუზომლად დაგვწყვიტა გული...

ლოლა ტუმასიანი-ანანიძე ყოველ ჩვენგანს ემახსოვრება როგორც ხალისიანი, სიცოცხლის მოყვარული, გულღია, სიახლეებისათვის გახსნილი, გასაჭირში ყოველთვის გვერდით მყოფი ადამიანი, რომელიც მხნეობას არასოდეს, ავადმყოფობის უმძიმეს მომენტებშიც კი არ კარგავდა... გვემახსოვრება, როგორც სიცოცხლესავით ლამაზი და ფერადი გოგო.

ყველანი დაგვამუნჯა მისმა წასვლამ, ნაღვლისფერი სიჩუმე დგას რედაქციაში, უსაზღვროდ გვტკივა ასეთი ახალგაზრდა, ენერგიული, კეთილი და თბილი კოლეგის დაკარგვა. ვუსამძიმრებთ მისი ოჯახის წევრებს ამ აუნაზღაურებელ დანაკლისს და განვიცდით მათთან ერთად, როგორც ლოლას მეორე ოჯახის წევრები.

შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარია“

განცხადებები

დანართი-1 18/03/2025

საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაცია დაფუძნდა 2001 წელს ქ. ბათუმში (ს/კ 248386571). მისამართი: ქ. ბათუმი, ხახულის 1, შესახვევი №1. ასოციაცია ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია პრეზიდენტი ზვიად კოჩალიძე.

2024 წელს ორგანიზაციის ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 726876.00 ლარი

1. ორგანიზაცია შემოსავლებს ღებულობს შემოწირულობის სახით;
2. ორგანიზაციაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი;
3. საქველმოქმედო საქმიანობა განხორციელდა შემდეგ სფეროებში: სამოყვარულო სპორტი, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური, განათლებისა და ჰუმანიტრულ სფეროში;
4. უცხოელი დამფუძნებლები და თანამშრომლები ორგანიზაციას არ ჰყავს.

ორგანიზაციის ხარჯები განხორციელდა შემდეგნაირად:

1. პანსიონების სტუდენტთა კვებისათვის --------------------120995,00 ლ.
2. ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი --------------------18735,00 ლ.
3. გაცემული ხელფასი -------------------- 134980,00 ლ.
4. სხვა გამოქვითვები -------------------- 450158,00 ლ.

მათ შორის:

1. საკანცელარიო ხარჯები -------------------- 8704,00 ლ.
2. სატელეფონო და ინტერნეტ ხარჯები -------------------- 1535,00 ლ.
3. სამშენებლო მასალები -------------------- 22362,00 ლ.
4. ერთჯერადი დახმარება სურსათით 226 მოქალაქეზე -------------------- 14690,00 ლ.
5. მოსახლეობაში დანაწილებული ხორცი -------------------- 122306,00 ლ.
6. ერთჯერადი ფულადი დახმარება მოქალაქეებზე -------------------- 5835.00 ლ.
7. ორგან. და თანამშრომელთა საპენსიო ანარიცხები -------------------- 6888,00 ლ.
8. სან. დასუფთავება -------------------- 64,00 ლ.
9. ბანკის მომსახურება -------------------- 1555,00 ლ.
10. ჟურნალისა და კალენდრების ბეჭდვა -------------------- 14500,00 ლ.
11. ჩარიცხული საშემოსავლო გადასახადი -------------------- 33745,00 ლ.
12. ბავშვთა დახმარება ტანსაცმლით - 48 ბავშვი -------------------- 7638,00 ლ.
13. სამედიცინო მედიკამენტები -------------------- 1 652,00 ლ.
14. დახმარება საგანმანათებლო ორგანიზაცია განთიადი -------------------- 98600.00 ლ.
15. დახმარება ქალთა საერთაშორისო ასოციაცია მომავლისათვის -------------------- 97900.00 ლ.
16. საწვავი ორგანიზაციის საჭიროებისათვის -------------------- 7280,00 ლ.
17. ჰიგიენური საშუალებები -------------------- 3550,00 ლ.
18. სპორტული ღონისძიება -------------------- 1354,00 ლ.

5. ნაშთი წლის ბოლოს -------------------- 2008,00 ლ.

ზვიად კოჩალიძე,
საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების
ასოციაციის პრეზიდენტი

დანართი-1 9/03/2025

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი დაფუძნდა 2016 წელს ქ. ბათუმში (ს/კ 445487312). მისამართი: ქ.ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის 49/2. ფონდი მოქმედებს ნებაყოფლობის, წევრთა თანასწორუფლებიანობის, დემოკრატიულობისა და კანონიერების საფუძველზე. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია ნოდარ პაქსაძე.

2024 წელს ორგანიზაციის ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 27097.88 ლ.

1. უცხოელი დამფუძნებლები და თანამშრომლები ორგანიზაციას არ ჰყავს.
2. ორგანიზაცია შემოსავლებს ღებულობს შემოწირულობის სახით.

ორგანიზაციის ხარჯები განხორციელდა შემდეგნაირად:

1. ელექტროენერგია, წყალი ბუნებრივი აირი -------------------- 5489,93 ლ.
2. სხვა გამოქვითვები -------------------- 20996,00 ლ.

მათ შორის:

1. შესყიდული მიწის ნაკვეთის საფასური -------------------- 20500,00 ლ.
2. ბანკის მომსახურება -------------------- 51,00 ლ.
3. სმს მომსახურება -------------------- 12.00 ლ.
4. ეკონომიკა, აუდიტი -------------------- 50,00 ლ.
5. ინტერნეტბანკინგი -------------------- 60,00 ლ.
6. მიწის გადასახადი -------------------- 25,00 ლ.
7. საჯარო რეესტრის მომსახურება -------------------- 298,00 ლ.

3. ნაშთი წლის ბოლოს -------------------- 611,95 ლ.

ნოდარ პაქსაძე
,ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის
ფონდის თავმჯდომარე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 27/03/25, 19 20 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„მეფე მასხარა“ – უცხოელი რეჟისორების სპექტაკლი თოჯინების თეატრში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

მეთოჯინეთა საერთაშორისო დღე ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა სპექტაკლის პრემიერით აღნიშნა.

„მეფე მასხარა“ თეატრის ისტორიაში პირველი სპექტაკლია, რომელიც აქ უცხოეთიდან მოწვეულმა რეჟისორებმა დადგეს. თურქეთიდან მოწვეული წყვილი - რეჟისორები მარინა და ჰალიუქ იუჯეები ბათუმის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე საერთაშორისო ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ. ისინი თეატრ „ტემპოსა“ და ანკარის თოჯინების საერთაშორისო ფესტივალის დამფუძნებლები არიან. ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა მონაწილეობა მიიღო ანკარის თოჯინების საერთაშორისო ფესტივალში, რამაც გაამყარა თანამშრომლობის სურვილი.

ბათუმურ პრემიერას აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილეები - ირმა აბულაძე, ლადო მგალობლიშვილი და ბადრი ნაკაშიძე,

ასევე, აჭარის განათლების და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე ესწრებოდნენ. მათ ბათუმის თოჯინების თეატრის თანამშრომლებს მეთოჯინეთა საერთაშორისო დღე მიულოცეს.

საპრემიერო სპექტაკლი „მეფე მასხარა“ ორი ნაწილისაგან შედგებოდა, მასში მხოლოდ ორი მსახიობი - სალომე დოლიძე და ვანო მაღლაკელიძე მონაწილეობდნენ. სპექტაკლი ინტერაქციული იყო, და სამი წლის და უფროსი ასაკის მოზარდ მაყურებელზე იყო გათვლილი.

დადგმის სიუჟეტი ასეთია - ზღაპრულ ქვეყანას, სადაც მხოლოდ ბავშვები ცხოვრობდნენ, მეფე მასხარა მართავდა. ის პატარებს დღესასწაულებს უწყობდა, მათთან ერთად მხიარულობდა და ყველა ბედნიერი იყო, მაგრამ ერთხელ სხვა მეფე მოვიდა, იგი გაბრაზებული და უბედური იყო. მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. რაც უნდა გაეკეთებინათ ბავშვებს, მას არაფერი მოსწონდა, მხოლოდ ყვიროდა და ბრძანებებს იძლეოდა. მაშინ მეფე მასხარამ შესთავაზა, მოეწყოთ განსაკუთრებული დღესასწაული. სპექტაკლში, რომელიც ორი სხვადასხვა ისტორიისგან შედგება, არტისტებთან ერთად მთავარ როლს დარბაზში მყოფი ბავშვებიც თამაშობდნენ. იგი გვესაუბრება ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორებიცაა: თანადგომა, ზრუნვა, მეგობრობა, მიმღებლობა და სიყვარული. მსახიობების ოსტატობამ, დინამიკურმა თხრობამ და საინტერესო რეჟისორულმა კონცეფციამ ხალისიანი სანახაობა შექმნა.

- პრემიერამ კარგად ჩაიარა. ამ სპექტაკლში მნიშვნელოვანია ბავშვების ინტერაქცია. თუ დაიჭერ აუდიტორიას, ეცდები და დაამყარებ მათთან კავშირს, ისინი ისიამოვნებენ და გაერთობიან. ბავშვებს უნდა დააჯერო, რომ ისინი მსახიობებთან ერთად თამაშობენ. ჩვენ ძალიან მოგვეწონა დღევანდელი აუდიტორია, ვფიქრობ, რომ მოეწონათ სპექტაკლი, - გვითხრა რეჟისორმა ჰალიუქ იუჯემ.

- ჩვენთვის ენობრივი ბარიერი არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ქართულად არ ვსაუბრობ. მოგეხსენებათ, ანკარის თოჯინების საერთაშორისო ფესტივალის დირექტორი ვარ და იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა ქვეყნის ძალიან ბევრ დასთან გვაქვს შეხება, ჩვენ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის. რეპეტიციების დროს რამდენიმე სიტყვაც ვისწავლეთ ქართულად. პიესის ტექსტი თურქულიდან რუსულად ვთარგმნეთ, შემდეგ ქართულად და ვხვდებოდით ტექსტის მიხედვით, სად იყვნენ მსახიობები, რა გამორჩათ და ა.შ. ასეთ დროს ენის ბარიერი პრობლემას არ გვიქმნის. ვთვლი, რომ პრემიერა შედგა. ძალიან ვნერვიულობდით, რადგან როგორც მსახიობებისთვის, ისე თეატრისთვის და მაყურებლებისთვის მსგავსი დადგმა და ასეთი სტილი ახალი იყო. ბათუმის თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ერთად გვინდოდა ინტერაქციული სპექტაკლი დაგვედგა, რათა ბავშვებიც ჩართულიყვნენ. მათ ყოველთვის უნდათ, სპექტაკლის ნაწილი იყვნენ და ჩვენ ამის შესაძლებლობა მივეცით. საკმაოდ რთულია მაყურებელთან მუშაობა, სცენიდან ბავშვებზე გადართვა, შემდეგ ისევ თოჯინებთან მიბრუნება, ეს ყველაფერი კი ისე უნდა გააკეთო, რომ გადასვლა უხეში არ იყოს. ვთვლი, რომ მსახიობებმა ძალიან კარგად გაართვეს თავი ამ სამუშაოს, - გვითხრა რეჟისორმა მარინა იუჯემ.

- ჩვენს თეატრში ძალიან საინტერესო პრემიერა შედგა, რომელიც მთლიანად ორიენტირებული იყო ბავშვების ჩართულობაზე. ვფქირობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ ეს ადამიანები მოვიწვიეთ და სწორედ ეს სპექტაკლი დაიდგა. ბედნიერი ვარ, რომ რაც ჩაფიქრებული გვქონდა (ვგრძნობდით, რომ ბავშვები ამ სპექტაკლს კარგად მიიღებდნენ), ყველაფერი ზუსტად ისე განხორციელდა. დიდი მადლობა ბატონ ჰალიუქს და ქალბატონ მარინას ამისთვის, - გვითხრა თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ.

- ამ სპექტაკლში რამდენიმე როლის თამაში მომიწია, რაც ჩემთვის სიახლე იყო. ყველა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ვთამაშობდი მეფეს, ფარშევანგს და ბავშვების წინაშე წარვსდექი როგორც მსახიობი სალომე დოლიძე. სხვადასხვა ფესტივალსა და მასტერ-

კლასზე მქონდა უცხოელ რეჟისორთან მუშაობის გამოცდილება, თუმცა ასე უშუალოდ და პირადად - პირველი შემთხვევა იყო. თავიდან ვდელავდით, თუმცა ჰალიუქი ინგლისურად კარგად საუბრობს, მეც ვსაუბრობ და არ გამიჭირდა. პირველი რეპეტიციის შემდეგ ენა აღარც დაგვჭირვებია. ერთმანეთს ისე კარგად გავუგეთ, ოთხივე ერთ ენაზე ვსაუბრობდით, ჟესტებით, მიმიკებით, ფაქტობრივად, ემოციების გაცვლა იყო. პრემიერამ მგონი, კარგად ჩაიარა, ბავშვების ემოციებიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ მიიღეს ეს სპექტაკლი. ძალიან კარგად ჩაერთნენ ინტერაქციაში. ვფიქრობ, ეს სპექტაკლი ძალიან შეუყვარდებათ ჩვენი ქალაქის (და არა მარტო) პატარებს, - გვითხრა მსახიობმა სალომე დოლიძემ.

- რეპეტიციები თურქულ-ინგლისურ-რუსულად მიმდინარეობდა, თუმცა რეჟისორებისგან იმდენად დადებითი მუხტი მოდიოდა, აბსოლუტურად ყველაფერი გვესმოდა, იმ მომენტში რა და როგორ უნდა შეგვესრულებინა. პირველად მომიწია უცხო რეჟისორებთან მუშაობა და თავიდან ცოტათი ვნერვიულობდი, თუმცა ჩემი შიში ბოლომდე არ გამართლდა, რადგან ურთიერთობა ძალიან კარგად შედგა და უზომოდ კმაყოფილი ვარ. სპექტაკლში უშუალოდ ბავშვებთან შეხება არასდროს მქონია და ჩემთვის ეს საინტერესო გამოცდილება იყო. მაქსიმალურად ვცდილობდი, ყველაფერი ისე გამეკეთებინა, როგორც საჭირო იყო და მგონი, გავართვი თავი. მინდა წარმატება ვუსურვო ამ სპექტაკლს, - გვითხრა მსახიობმა ვანო მაღლაკელიძემ.

კარიკატურა – შარჟით გადმოცემული რეალობა

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

კარიკატურა სახვითი ხელოვნების ჟანრია, მხატვრული ტიპიზაციის საშუალება, რომელშიც ცხოვრებისეული მოვლენის ან პიროვნების ასახვის დროს გამოყენებულია შარჟისა და გროტესკის ხერხები. ის საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა პოპულარული. კარიკატურა ანალიტიკის უწყინარი გზაა, რასაც ხალხის ნაწილი იუმორით, ნაწილი კი აგრესიით ხვდება. დღევანდელი ჩვენი რესპონდენტი ***ლევან მირონიძეა****, რომელიც ამ სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენელია.*

- როდის დაინტერესდით კარიკატურით?

- თავიდან პეიზაჟების ხატვით დავინტერესდი, შემდეგ რეალისტურმა ნახატებმა გამიტაცა. ვხატავდი ნახშირით, ფანქრითა და ფერადი პასტელებით. 7 წლის წინ კარიკატურით დავინტერესდი და მივხვდი, რომ გამომდიოდა საკმაოდ საინტერესო და განსხვავებულ სტილში.

- ქუჩაში ხატვა როდის გადაწყვიტეთ?

- ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ მისი შვილი ქუჩის მუსიკოსობით ფულს გამოიმუშავებდა. ამის შემდეგ გამიჩნდა აზრი, რომ გავსულიყავი ქუჩაში და საკუთარი ნახატებით თანხა გამომემუშავებინა. მოვიარე ძველი თბილისი და ვიპოვე ადგილი, სადაც კონკურენცია ნაკლებად იქნებოდა, ტურისტი კი - ბევრი. ასე მივადექი სასურველ ადგილს, სადაც ხატვა დავიწყე. პირველი ორი დღე გამეჭირდა ადაპტაცია, არავინ მაქცევდა ყურადღებას, ხოლო მესამე დღეს ჩემი ნახატებით უამრავი ტურისტი დაინტერესდა. იმედი მომეცა და წარმატებით გავაგრძელე ხატვა.

- რა იყო თქვენი პირველი პროფესიონალური კარიკატურა?

- პირველი კარიკატურა საახალწლო თემაზე შევქმენი და საკმაოდ სასაცილო გამოვიდა. დავხატე ადამიანი, რომელიც სამსახურში მთელი დღის განმავლობაში გამუდმებით საუბრობდა ტელეფონზე.

- კარიკატურისტების ნაწილი მეტროში ხატავს, რადგან იქ პოულობს სახასიათო ადამიანებს, ზოგი სხვა ხალხმრავალ ადგილს ირჩევს. თქვენ?

- მეც ძალიან მიყვარს ქუჩაში ხატვა და ადამიანებთან კომუნიკაცია, თუმცა ეს სეზონურია და მხოლოდ ზაფხულშია კარგი, ცუდი ამინდი შეუძლებელს ხდის ღია სივრცეში მუშაობას, შესაბამისად, შემკვეთების რაოდენობაც მცირდება. ამიტომ შევქმენი ფეისბუქგვერდი, სადაც ვიღებ შეკვეთებს და ვხატავ სახელოსნოში.

- რომელ მასალებს ან ტექნიკას იყენებთ ყველაზე ხშირად?

- ყველაზე ხშირად ვიყენებ შავ ფანქარს, ლაინერს, მარკერს და ფერად ფანქრებს.

- როგორია თქვენი სამუშაო პროცესი?

- შეკვეთას ვხატავ ფოტოდან, რომელსაც თავად მსურველი მიგზავნის. ის იდეასაც მთავაზობს, თუ როგორ უნდა, რომ დავხატო. ჯერ ფანქრით მოვხაზავ ესკიზს, შემდეგ ლაინერს ვიყენებ კონტურების დასაფიქსირებლად, ბოლოს კი - ფერად ფანქრებს, თუ შემკვეთს ფერადი კარიკატურა უნდა, ხოლო თუ შავ-თეთრი სურს, მაშინ მხოლოდ მარკერს და ლაინერს ვიყენებ, ტონალობისთვის კი - შავ ფანქარს.

- პორტრეტული კარიკატურის გარდა, ხატავთ თუ არა სხვა სტილში და, თქვენი დაკვირვებით, რომელი სტილია უფრო რთული?

- დიახ, ვხატავ რეალისტურ სტილშიც. ეს გაცილებით რთულია. დიდი დრო სჭირდება და მაქსიმალური სიზუსტეა საჭირო.

- რა გავლენა იქონია ციფრულმა ტექნოლოგიებმა თქვენს პროფესიაზე?

- უარყოფითს ვერაფერს ვიტყვი, რადგან მხოლოდ ხელით ვხატავ. პირიქით, გამოვიყენე მობილური ტელეფონი, რათა ონლაინ მივიღო შეკვეთები.

- თქვენი აზრით, არის თუ არა დღეს კარიკატურა პოლიტიკური ან რელიგიური ბრძოლის იარაღი?

- ამის მაგალითებს საინფორმაციო წყაროებში ხშირად ვერ ვაწყდები. დღეს უფრო ინტენსიურად

ინფორმაციული ომი მიმდინარეობს.

- როგორ იცავთ ბალანსს მუშაობისას?

- ბალანსის დაცვა მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, ვაკეთებ აქცენტს სიზუსტეზე, მსგავსებაზე და შემდეგ ვაშარჟებ პიროვნებას მისი ჰობის, საქმიანობის თუ თვისებების გათვალისწინებით. ფიზიკური მახასითებლების ზედმეტ უტრირებას არ ვახდენ, თუმცა ზომიერად საჭიროა.

- თქვენი დაკვირვებით, კარიკატურას რამდენად ძლიერი ზემოქმედება აქვს ადამიანზე?

- ძალიან დიდი პოზიტიური გავლენა აქვს განწყობაზე. იუმორი ეს ისაა, რაც ყველას გვჭირდება ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე.

- რა უნარებია საჭირო, რომ შედგე პროფესიონალ კარიკატურისტად?

- ხატვის ნიჭი, სურვილი, გაწაფული ხელი, თემატიკის კარგი აღქმა და ხედვა. ასევე, საჭიროა სიზუსტეზე აქცენტი, ფორმების გადიდება-დაპატარავების უნარი.

- როგორ გესახებათ კარიკატურის მომავალი?

- კარიკატურის მომავალი ციფრულ ხატვაშია, რადგან ძალიან დაიჩაგრა დღეს ხელით შექმნილი ნამუშევარი. გაციფრულებამ ადვილი გახადა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მომხმარებლისთვის მისი მიწოდება.

- დაბოლოს, თქვენს გეგმებზე რომ გვიამბოთ...

- ისევ და ისევ, მინდა, რომ ხელით შევქმნა ნამუშევრები, ვაპირებ, მეტად გამოვიყენო სხვადასხვა სოციალური ქსელი. ონლაინშეკვეთები საკმაოდ კომფორტულია სახელოსნოში მუშაობისას, თუმცა არ ვწყვეტ ქუჩაში ხატვაზე ფიქრს, რადგან ეს ძალიან ბევრ კარგ ემოციას მიტოვებს, ძალიან ცოცხალი და ნამდვილია. ქუჩაში ხატვა ავთენტური პროცესია - ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ მხატვარს წინ ედგა პიროვნება ან ჰქონდა პეიზაჟი და ეს ყველაფერი ხატვის პროცესში ერთ დიდ კავშირს წარმოადგენდა.